სპორტიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 6 სექტემბერი 2004 №206 (2227) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლაფა ასათიანს გოლის თავი აქვს



ესეც თურქულა!

ჩვენ ის მოვიგეთ, რომ არ წაგებულვართ

ბრიგელი თბილისში გაკვირვებული ჩამოვიდა

დაივიწყეთ საბერძნეთი, მოემზადეთ საქართველოსთვის, უთხრა ჰანს-პეტერ ბრიგელმა ალბანელ ფეხბურთელებს და სასტუმრო „მარიოტში“ შეუძღვა. წუხელ თურქეთმოვლილ საქართველოს ნაკრებს ევროჩემპიონების წამქცევი ალბანეთი ესტუმრა.

ცხადია, ბრიგელთან გამოლაპარაკება ვცადეთ, მაგრამ გერმანელმა მოგვიბოდიშა, საუბარი ხვალისთვის გადავდოთო, სამაგიეროდ, სიტყვა არ დაგვამადლა ჩვენმა ძველმა ნაცნობმა, ალბანელმა ჟურნალისტმა მიკელე იანკუმ.

ტირანაში ამბავი ყოფილა, რუსთა ძლევით გახარებულ 30 აპრილის თბილისს რომ გაგვახსენებს.

ტირანაში ოტო რეჰაგელსა და ჰანს-პეტერ ბრიგელს ძველი წყენა არ დავიწყნიათ და არც მატჩამდე და არც ნამატჩევს ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ.

ტირანაშივე, თბილისში გამომგზავრებამდე უთქვამს ბრიგელს, თურქეთ — საქართველოს 1:1 გამიკვირდა, ქართველებთან ფრეზეც ყაბულს ვარო.

ბრიგელის სათბილისო გუნდს ფოტო სტრაკოშასა და იგლი ტარეს თამადობით, თითმოტეხილი მუკა მოაკლდა, რომელიც „ტირანა“ — „დინამოს“ ავადმოსაგონარი მატჩიდან გეხსომებათ.

იანკუმ ისიც გვითხრა, ბრიგელს შარშანდელი 6 სექტემბერიც არ დავიწყებია, თბილისურ 3:0-ს დღესაც მწარედ ახსენებენო.

დღეს 6 სექტემბერია და ბრიგელი და ალბანეთი ისევ თბილისში არიან.

გახსოვდეთ საქართველო! წუხელ ამ სიტყვებით შეუძღვა ჰანს-პეტერ ბრიგელი ალბანელ ფეხბურთელებს სასტუმრო „მარიოტში“

ანზორ ერემაშვილის ფოტო



REUTERS ტრაბზონიდან

ესეც თურქული!

ჰარიჯა ბირშეი ზაოდელისგან

ტრაპიზონი. 4 სექტემბერი. 21 საათი. ავნი აკერი

თურქეთი 1:1 საქართველო

1:0 ფათიჰი (49), 1:1 ასათიანი (85)	
თურქეთი: რუშთუ, სერქანი, ბარიში, ტორმანი, ემრე, უმითი, ოკანი, ტუნჯაი (გოკდენიზი 73), ჰაკან შუქური (ნიჰათი 80), ფათიჰი (ჩიმშირი 73), შაში *სათადარიგონი:* დემირელი, ონდერი, დურსუნი, აკინი **მწვრთნელი:** ერსუნ იანალი	**საქართველო:** დევაძე, მუავანაძე, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი (კვარაცხელია 90), კალაძე, კვირკველია, ცქიტიშვილი, რეხვიაშვილი (ასათიანი 80), დემეტრაძე (ჯაკობია 75), ჯამარაული, არველაძე *სათადარიგონი:* გვარამაძე, კანკავა, სალუქვაძე, ბურდული **მწვრთნელი:** ალენ ჟირესი
გაფრთხილებები: კვირკველია (21), შუქური (27), შაში (32), შაში (59), კალაძე (67), ნიჰათი (81), ხიზანეიშვილი (82), ოკანი (83)	
გაძევება: შაში (59)	
მსაჯები: ლ. კანტალეხო; ფ. იბანიესი, ვ. კარასკო; კ. მენდესი (ყველა ესპანეთი)	

ვაჟა ხუციშვილი

მატჩის დასრულებიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ „ტრაბზონსფორის“ სტადიონის მთავარ შესასვლელთან, ბორდიურზე, მალხაზ ასათიანი იჯდა და ავტობუსს ელოდა. კაცი, რომელმაც, თურქ ჟურნალისტს თუ დავესესხები, „ჰარიკა ბირშეი“ (საოცარი რამ) გოლი გაუტანა რუშთუს მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები მორიგ მატჩს აგებდა. ასათიანის ზურგსუკან რამდენიმე თურქი ბავშვი ხტოდა და მღეროდა. „ენ ბუიუქ, ენ ბუიუქ“ (ყველაზე დიდი), ყვიროდნენ ტრაპიზონელი ბალღები.

იქვე, რამდენიმე მეტრში, „შოთას ფრონტი“ იყო გახსნილი. შოთა არველაძე გასახდელიდან გამოსვლისთანავე „ტრაბზონსფორის“ ქომაგებმა ისე დაკოცნეს, რომ ქართველი ფორვარდი სულს ვეღარ ითქვამდა. არველაძესთან ინტერვიუს გაკეთება იქ მყოფ ყველა თურქულ ტელევიზიას სურდა და ისინი რიგრიგობით „ითრევდნენ“ შოთას, ქომაგები კი ქართველს არ ასვენებდნენ. ხელში აიყვანეს და ჰაერში „აბურთავეს“. „შეითანი“ აჰყვა თავის თაყვანისმცემლებს. მათთან ერთად იხტუნა, იმღერა, ტელეკამერების წინ ისაუბრა. მერე ერთ-ერთმა ტრაპიზონელმა ქომაგმა ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. შოთამ მაისურა გაიძრო და უფეშქაშა. იმ წუთში ამ ქომაგზე ბედნიერი კაცი ქალაქში ალბათ არავინ იყო. დადიოდა და თავისთვის იმეორებდა, ვინ თქვა, რომ „შეითანი“ მაისურს არ მაჩუქებსო. აბეზარი პატარა გულშემატკივრების დაშოშმინება პოლიციამღა შეძლო.

სანამ ზემოთ აღწერილი ამბები მოხდებოდა, სასწრაფო დახმარების ავტომ ზურაბ ხიზანიშვილი საავადმყოფოში გააქანა, ალენ ჟირესი კი ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში ალბანეთზე საუბრობდა. თავში ახლა ალბანეთი მიტრიალებსო, თქვა ფრანგმა.

თურქმა ჟურნალისტებმა არჩილ არველაძეც „დაკითხეს“ და ტყუპისცალმა სიტყვა არ დაამადლა.

ორი წლის წინ ტრაპიზონში თურქ-ქართველთა ამხანაგური მატჩის წინ სასტუმრო „ზორლუ გრანდთან“ ერთი ინვალიდი ქალბატონი ტრიალებდა. მსოფლიოს ბრინჯაოსნების ნახვას ლამობდა. ეს ქალი თავისი ქვეყნის ნაკრების ტრფიალია და, როგორც ამბობენ, ეროვნული გუნდის მატჩებს თითქმის არ აცდენს. უამქალბატონოდ ტრაპიზონულ შეხვედრასაც არ ჩაუვლია. „შოთა-არჩილ“ იმეორებდა ხელგაწვდილი ინვალიდი. მერაბ ჟორდანიამ მას ფული აჩუქა. ქალმა კუპიურას დახედა და სიხარულისგან უფრო ხმამაღლა დაიწყო „შოთა-არჩილის“, გამეორება. მერე ვიღაც კაცმა ავტომობილით მოაკითხა და წაიყვანა.

ნამატჩევს ქალაქში ფრით გამოწვეული სიწყნარე იყო, თამაშის დაწყებამდე კი მასპინძლები ბაირამობდნენ. „ავნი აკერის“ გარშემო თურქეთის დროშები, ნაკრების მაისურები და ნაირ-ნაირი ატრიბუტები იყიდებოდა. ტრაპიზონელებს სახეზე ეწერათ, რომ გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდნენ. გაჰკიოდნენ, მღეროდნენ და ხალისობდნენ. მაღაზიებსა თუ სასადილოებში ყველას ერთი არგუმენტი ჰქონდა: თურქეთი მსოფლიოს მესამე გუნდია, თქვენი ნაკრები ერთ ლუკმად არ გვეყოფაო. ორი წლის წინანდელ ამხანაგურ შეხვედრას იხსენებდნენ.

სტადიონისკენ მიმავალი გულშემატკივარს გავესაუბრე და მაშინვე მომახლა, ჩვენ მსოფლიოში მესამე გუნდი ვართ და თქვენ რომელ ადგილზე ხართო. „ავნი აკერი“ არ გაივსო. ბილეთი ძვირი არ ღირდა, მაგრამ გულშემატკივრების ნაწილი სახლში, ტელევიზორთან ელოდა იოლ გამარჯვებას. საქართველო ერთ ჩვეულებრივ, სუსტ გუნდად მიაჩნდათ, რომელსაც იოლად უნდა მოუგო.

1:1-ის შემდეგ „ავნი აკერზე“ ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის, ჰალუკ ულუსოის დიდი პლაკატი ააფრიალეს. სწორედ მისი თავკაცობისას მიაღწიეს თურქებმა მსოფლიოს ბრინჯაოსნობას. თურქმა ქომაგებმა „ულუსოი პრეზიდენტი, თურქეთი ჩემპიონი“ დასჭექეს და ფედერაციის ამჟამინდელ შეფს ლევენტ ბიჩაჭჩის მიანიშნეს, რომ მის ხელქვეით ნაკრები ძველებურად ძლიერი აღარაა.

REUTERS ტრაბზონიდან

გოკდენიზ კარადენიზი ქართველების სიხარულს გამოერიდა

REUTERS ტრაბზონიდან

გოჩა ჯამარაული და ოკან ბურუქი ჰაერშიც შეიბნენ

ქართველებმა ტრაექტორია შეცვალეს

შოთა ხი ისევ იახში, იახშია

მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ „ავნი აკერზე“ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, სულ ორი-სამი წუთით, მაგრამ ადუღებულ სტადიონზე ეს საუკუნესავით გაიწელა. შემდეგ ისევ იხუვლა: „ტურკიე“, „ტურკიე“. ეს ულტრასების ჯგუფი გახლდათ, რომელიც 90 წუთის განმავლობაში ლამის ისევე იტვირთებოდა, როგორც მათი თერთმეტი რჩეული ფეხბურთელი. თამაშის შემდეგ თურქი გულშემატკივრების ერთმა ნაწილმა კი თავისიანების ნაკრებს ობსტრუქციის მსგავსი რამ მოუწყო, ავტობუსს წინ გადაუდგა და უკმაყოფილო სტვენით და შეძახილებით დაახლოებით 50 მეტრიც სდია.

ბევრი გვსმენია, როგორ უყვართ ტრაპიზონში შოთა არველაძე, მაგრამ თამაშის შემდეგ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შოთა ხელიდან ხელში გადადიოდა ათი წუთის განმავლობაში. მისი მაისურაც საპატიო ნაალაფევად იქცა. სამოცდაათ წელს მიტანებული თურქი მანდილოსანიც კი ვერ იკავებდა თავს, შორიდან შეჰყურებდა ქართველს, გულში მჯიღს იცემდა და, შოთა, სევიორუმო (მიყვარხარო), გაჰყვიროდა.

გასახდელიდან ნელ-ნელა ქართველი ფეხბურთელებიც გამოვიდნენ...

შოთა არველაძე ტრაპიზონშიც სახლშია

დავით კვირკველია: თამაში ისე არ წამივიდა, როგორც მსურდა. ახლაც ვერ გამიგია, ის საგოლე პასი როგორ ვერ ჩავჭერი, თუმცა პასიც ძალიან კარგად იყო შესრულებული. ბურთი ისე დატრიალდა, რომ ჩემს ზურგს უკან ჩაშვა. კიდევ კარგი, ყველაფერი კარგად დასრულდა, თორემ გავგიჟდებოდი. თურქეთში ფრე ურიგო შედეგი ნაღდად არაა. ამან მეტი რწმენა შეგვმატა.

ლაშა ჯაკობია: ძალიან დამუხტული თამაში იყო. საფინალო სასტვენის შემდეგ დიდი სიხარული ვიგრძენი.

ლევან ცქიტიშვილი: საუკეთესო თამაში ნაღდად არ იყო, მაგრამ მთავარი შედეგია. აქამდე გვქონია მატჩები, როდესაც ლამაზ კომბინაციებს ვათამაშებდით, მაგრამ... ჯარიმის შესრულებისას შევნიშნე, რომ თურქები ჩაწოდებას მეკარის ბაქანში ელოდნენ, ამიტომ ბურთის ტრაექტორია შევცვალე და ყველაფერი გადასარევად დამთავრდა.

მატჩის გმირი *მალხაზ ასათიანი* მილოცვებს ვერ აუდიოდა, ჩვენ კი ესლა გვითხრა: რა ვიცი, რუსებთანაც გასატანად დავარტყი და თურქებთანაც.

ლევან კობიაშვილმა თურქების წინააღმდეგ ვერ ითამაშა, თუმც იმედს იტოვებს, რომ თავისიანებს ალბანელებთან შეეშველება...

— ძალიან ვინერვიულე, ძნელი საქმე ყოფილა ნაკრების თამაშის ტრიბუნიდან ყურება. არადა, ბოლო მომენტამდე მჯეროდა, რომ ბიჭების დახმარებას შევძლებდი, მაგრამ სიცხემ ისევ ამიწია.

— ალბანელების წინააღმდეგ თუ ითამაშებ?

— წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია. თამაში დღესაც სიგიჟემდე მინდოდა, მაგრამ...

თურქთა ტყვეობიდან თავდაღწეული *შოთა არველაძე:* ჰასან შაშის საქციელმა საქმე გაგვიადვილა — თურქების შეტევებს სიმწვავე მოაკლდა. ტრაპიზონში ფრე ნებისმიერი გუნდისთვის საპატიო შედეგია. აქ ვთამაშობდი და ვიცი, რა ძნელია თურქეთში თამაში. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ სასურველ შედეგს მივაღწიეთ და იმითაც, რომ ტრაპიზონელ ფანებს არ განელებიათ ჩემი სიყვარული. აქ თამაში ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებული ამბავი იქნება.

ამ საუბრისას ზურაბ ხიზანიშვილიც გამოიყვანეს საკაცით. უმეტესობამ ისე იცოდა, რომ ზურას თურქეთში დარჩენა მოუწევდა — ტვინის შერყევის გამო მისი მგზავრობა შეუძლებელი იყო. თუმცა მოგვიანებით შევიტყვეთ, ხიზანიშვილს მოსალოდნელზე მსუბუქი ტრავმა ჰქონია და თბილისისკენ ნაკრებთან ერთად გამოემგზავრა.

დავით ერაძე ტრაპიზონიდან
ავტორის ფოტოები



თამაშის მერე ზურაბ ხიზანიშვილი საავადმყოფოშიც გააქანეს

ალენ ჟირესი და ერსუნ იანალი (მარჯვნივ) ნამატჩევ პრესკონფერენციაზე

გიო აბზლედიანის ფეხბურთული ფელეტონი

პირველი ქულა

აი, საქართველოს ქულა.

ამ უცნაურ, ულამაზო, მძიმე, გაოფლილ, უზუსტობებითა და მონდომებით სავსე თამაშში.

ორი გუნდი, რომელთაგან ერთი გვარიანად განახლებულა და წამხდარა გასული შემოდგომის შემდეგ, მეორე კი ცდილობს, კიდევ ერთხელ ჩაებას საქმეში ღირსეულად. ორივეს გვარიანად აკლია კარგი ფეხბურთელები. თამაში ტრაპიზონშია, ტრიბუნაზე თურქეთის პრემიერ-მინისტრი ზის. უცნაური თამაში იყო: სავსე წუნით, მოქანცულობით. ტემპი არ იყო, პასები არ გამოდიოდა. მეორე ტაიმში ხომ განსაკუთრებით. ამის მიუხედავად, ბურთი ორჯერ მოხვდა ძელს: აქეთაც და იქითაც. იყო სხვა მოშენტებიც. ძიძგილაობა, წიხლები, მოუთოკავი ჰასან შაშის გაძევება, რომელსაც ჩვენთვის ხეირი არ მოუცია. თუმცა, როგორ არა... ეგებ სწორედ ის მეთერთმეტე კაცი აკლდათ თურქებს, მალხაზ ასათიანი რომ უნდა დაეჭირა საჯარიმოში ლევან ცქიტიშვილის ჩაწოდების შემდეგ.

თურქეთი — საქართველო. ეს არ იყო კლასი. კლასი ორივე მხრიდან ოთხიოდე ფეხბურთელს ეტყობოდა. ისე კი, ორივე გოლი აქეთაც და იქითაც კლასი იყო. ნიჭი უფრო მეტს ეტყობოდა. კაკო დევაძემ, ამ დაუბერებელმა, ორჯერ გადაარჩინა კარი. საქართველო მეკარით თამაშობდა. იღბალიც საქმეა. თუმცა, მალხაზ ასათიანი რომ მხოლოდ იღბალი არ არის, დიდი ხანია ვიცით.

ეს ტურნირის საუცხოო დასაწყისი იყო საქართველოსთვის. ახალბედა მჟავანაძე კი აღმოჩენად ჩანს. ეს იყო საყურებლად არცთუ საამო, საქმაგოდ კი ძალიან დაძაბული თამაში. ჯანი მზად ვერ შეეგება ამ ფეხბურთს. პირველ ტაიმს ჰქონდა სურათი ორივე მხრიდან, მეორეში ყველაფერი გაიდღაბნა, სირბილი და სისწრაფე კი, რომელიც არც თავიდან იყო სანიმუშო, საერთოდაც გაქრა.

და მაინც, ამ უცნაურ და უხეშ ფეხბურთში საქართველომ გაათანაბრა 84-ე წუთზე. ეს იყო საჭირო, მაგრამ უფრო მეტად ეს იყო საუცხოო იმ ტრაპიზონულ სიცხეში. საქართველომ არ დაიწყო ლამის ტრადიციული წაგებით. საქართველომ ფრე მოიპოვა გასვლაზე ისე, რომ გაათანაბრა თუმცა ზოზინა, მაგრამ მძიმე, ძვლების სამტვრევ თამაშში და ახლა თბილისში ჩამოსული ელოდება ალბანელებს, რომლებმაც თვით ევროპის ჩემპიონები წაახდინეს ტირანაში.

ეს გვეუბნება: ომით ბევრი რამ შეიძლება. ზედ თუ ჯანი, გონება და შეთამაშება დაემატა, ხომ საერთოდ.

ჟირესი იბრძოლებს, არცთუ საუკეთესო შემადგენლობითაც კი.

თურქული პრესის ჩივილი

ეს რა ჩაიდინე, ჰასან!

თურქული სპორტული გაზეთის „ფანატიკის“ აზრით, საქართველოს ნაკრები ოსმალოებთან შედარებით გაცილებით დაბალი კლასისაა და ასეთი დონის გუნდთან ორი ქულის დაკარგვა ერსუნ იანალს არ ეკადრებოდა. „ეს რა ჩაიდინე, ჰასან!“ — ასეთი სათაური აქვს „ფანატიკს“ მეორე გვერდზე. ორ დაკარგულ ქულას ჰასან შაშს აბრალებენ, რომელმაც, თურქთა თქმით, უაზრო ჯარიმა „აიკიდა“ და ესპანელმა მსაჯმა გააძევა.

„ჟურიეტის“ მიმომხილველ ქორქუთ გოზეს მიაჩნია, რომ 1:0-ის შემდეგ, როცა მეტოქე აირია, ერსუნ იანალს მოედანზე ფორვარდი გოკდენიზ კარადენიზი უნდა შეეშვა და მეტოქე საბოლოოდ მოეხრჩო. „ჟურიეტის“ ჟურნალისტს ვერც ის გაუგია, თუ რატომ არ იყო ძირითად შემადგენლობაში ნიჰათი. მას ხომ საჯარიმოების შესრულებაც კარგად შეუძლია და არც კარში შორიდან დარტყმა ესწავლება.

ქორქუთ გოზე ამტკიცებს, რომ ჰასან შაშს უბიძგეს იმ მომენტში, როცა მან ხელით გოლი გაიტანა და ესპანელს პენალტი უნდა დაენიშნა.

ამავე გაზეთის მიმომხილველ ერმან ტოროღლუს აზრით, ჰასან შაშს მთელი მატჩის განმავლობაში სახეირო არაფერი გაუკეთებია და გუნდი დააღალატა. „მე რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიყო, შაშს ნაკრებიდან მოვკვეთდი“ — აი, ასე ფიქრობს ტოროღლუ. მას მიაჩნია, რომ ეს შეხვედრა ტრაპიზონში არ უნდა ჩატარებულიყო. „ამ ქალაქში საქართველოსთან მატჩის გამართვა ნიშნავს, რომ ჩვენ მათთან ორჯერ სტუმრობა გვიწევს — წერს ერმან ბეი — ქართველები ტრაპიზონში ორ საათში ჩავიდნენ, თურქებს კი სამი საათი დასჭირდათ. განა არ შეიძლებოდა, მეზობლებისთვის სტამბოლში გვემასპინძლა?!“

გაზეთ „ვატანის“ კორესპონდენტ ზეკი ჩოლის აზრით, იბრაჰიმის, ემრეს, ფათიჰის და ჰაკან შუქურის გარდა ყველა ფეხბურთელმა მათთვის უჩვეულო პოზიციებზე ითამაშა და ამიტომ ვერ მიიგეს ეს მატჩი. „ტყვილია ყველაფერი, რასაც ერსუნ იანალი გვიპრდებოდა. გუნდში ვითარება დროზე უნდა შეიცვალოს, თორემ ასეთი თამაშით ჯგუფიდან ვერ გავალთ“ — წერს ზეკი ჩოლი.

რაც შეეხება თურქთა მთავარ მწვრთნელ ერსუნ იანალს, ნამატჩევს მან თქვა, რომ გუნდმა კარგად ითამაშა, მაგრამ ჰასან შაშის გაძევებამ გეგმები აურია. „ჯერ არაფერი დაგვიკარგავს. საქართველოსთან ფრე მალე უნდა დავივიწყოთ და საბერძნეთისთვის მოვემზადოთ“ — განაცხადა იანალმა.

„ვატანის“ მეორე მიმომხილველმა სანლი სარიალიოღლუმ მწვრთნელს ჰაკან შუქურზე თამაშის აწყობა დაუწუნა. „მხოლოდ ჰაკანის იმედად ვერ ვიქნებით. ეს მცდარი ტაქტიკაა და ამ მატჩშიც გამოჩნდა. როცა ნიჰათისა და გოკდენიზ კარადენიზის დარ ფეხბურთელებს სათადარიგოთა სკამზე დასვამ, სხვა შედეგს არც უნდა ელოდო“.

ჟირესი ხუმრობს და ზორბა ბრიგელისთვის ემზადება

ალენ ჟირესის დებიუტი წარმატებული გამოდგა — ფრანგის გაწვრთნილმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი კარგად დაიწყო — თურქეთიდან ქულა ჩამოიტანა.

გუშინ კი თბილისში დაბრუნებულმა ჟირესმა სასტუმრო „ბატესტაში" პრესკონფერენცია გამართა. ჟირესი, ცოტა არ იყოს, შეცვლილი გახლდათ, შუბლს იშვიათად ინაოჭებდა, ადრინდელზე უფრო თავისუფლად და დაუძაბავად საუბრობდა, რასაც იუმორითაც აზავებდა — ასე იცის კარგმა შედეგმა. მორიგი მატჩი კი ნაკრებს 8 სექტემბერს ელის შინ ალბანეთთან და პრესკონფერენციაც მხოლოდ ტრაპიზონულ მატჩს როდი მოიცავდა



ბადრი ჯეფილაძის ფოტო

— ალბანეთთან მატჩი „ლოკომოტივის" სტადიონზეა, არადა, ზოგს მიაჩნია, რომ „ეროვნულზე" უკეთესი მინდორია...

— ეროვნული სტადიონი სარემონტოა, რაც შეეხება მინდორს, არა მგონია, რომ „ლოკომოტივზე" უარესი მოედანი იყოს. თანაც, ესთეტიკურად „ლოკომოტივის" სტადიონზე თამაში უფრო სასიამოვნოა.

— თურქეთთან თქვენი გუნდის თამაშის ხარისხით კმაყოფილი ხართ?

— ჩვენ კარგ შედეგს მივაღწიეთ, ქულა ავიღეთ, თამაშის ხარისხზე კი საკუთარი შესაძლოა, სხვადასხვა აზრი იყოს. ტრაპიზონში დიდი ზეწოლის ქვეშ ვიყავით, მაგრამ ორგანიზებულად ვითამაშეთ.

— საგოლე მომენტების რეალიზაცია მაღალი არ ყოფილა...

— საამისო რეცეპტი ჩვენ არ გაგვაჩნია. საგოლე მომენტების რეალიზაციისას ალბათ უფრო იღბლის ფაქტორია მნიშვნელოვანი.

— ზურაბ ხიზანიშვილისა და ალექსანდრე იაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია, შეძლებენ ისინი 8 სექტემბერს თამაშს?

— დღეს ეს ჩვენთვის უცნობია. ხიზანიშვილი ტრაპიზონში საავადმყოფოშიც მივიყვანეთ პირველადი გამოკვლევისთვის. მას ცხვირი გაუტყდა და დარტყმისგან შოკში იყო. ეს ქართული დარტყმა იყო, რომელიც ხიზანიშვილს მისმა თანკლუბელმა მიაყენა, თუმც არ გეტყვით, ვინ.

— ალბანეთთან მატჩს ალბათ ამაღლებული განწყობით ხვდებით.

— არანაირი უპირატესობა ალბანეთთან მატჩში ჩვენ არ გვაქვს, ალბანელებმა ხომ ბერძნები დაამარცხეს. თურქეთთან ფრემ არ უნდა დაგვამშვიდოს. 8 სექტემბრის მატჩისთვის მზადებას ახლიდან ვიწყებთ.

— ალბანეთს ჰანს-პეტერ ბრიგელი წვრთნის, ვისაც 22 წლის წინათაც გადაეყარეთ ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში...

— იმ შეხვედრაში ბრიგელი ჩემს ზონაში თამაშობდა. საფრანგეთის ნაკრების მაშინდელ ნახევარდაცვაში იყვნენ პლატინი, ჟენგინი, ვისი წონაც იყო 60 კილო, ტიგანა, ვინც 59 კილო იყო და მე — მაშინ 65 კილოს ვიწონიდი. არავის უნდოდა უშველებელი ბრიგელის წინააღმდეგ თამაში... ახლა ალბანეთ—საბერძნეთის მატჩის ფირს ვნახავთ. ჩვენი ძალა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

— ხიზანიშვილ-იაშვილის თამაში სათუოა და ახალი ფეხბურთელების გამოძახებას ხომ არ აპირებთ საალბანეთოდ?

— არა.

— თურქეთთან მატჩში კარგად იყენებდით სტანდარტულ სიტუაციებს, რითაც საქართველოს ნაკრები ადრე არ გამოირჩეოდა...

— სტანდარტულები უკეთესად შევასრულეთ, ვიდრე წინა შეხვედრაში მოლდოვასთან. კარგია, ეს რომ მოვახერხეთ.

— აუტის ეფექტურად მოწოდებაზე არ მუშაობთ?

— ჩვენ ოლიმპიური ჩემპიონი გვყავს ძალოსნობაში და ის თუ მოვა ნაკრებში...

— გოჩა ჯამარაულის თამაშზე რას იტყოდით?

— არ მსურს, ვინმე გამოვარჩიო. ყველა ფეხბურთელმა დავალება კარგად შეასრულა, მთელი გუნდი ქების ღირსია.

— თურქეთთან მატჩში შედეგით უფრო კმაყოფილი დარჩით თუ თამაშის ხარისხით?

— კვლავ ნახევრად სავსე თუ ნახევრად ცარიელ ჭიქაზე უნდა ვთქვა — ამ შემთხვევაშიც იგივე ვითარებაა.

— საალბანეთოდ არ შეივსება ეს ჭიქა?

— მშვიდად იყავით, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა წარმატებით ვითამაშოთ.

— დავით კვირკველიას თურქეთთან უფრო დაცვითი ფუნქციების შესრულება მოსთხოვეთ?

— კვირკველია იყო შემაკავშირებელი დაცვასა და თავდასხმას შორის — 60 პროცენტი დაცვა და 40 შეტევა — ასეთი იყო დავალება, მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ კვირკველია 70 პროცენტით შეტევაში იყო.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ასათიანი უფრო ადრე არ შეუშვით მოედანზე?

— მიმაჩნია, რომ ასათიანი დროულად ჩავრთეთ თამაშში. რაც შეეხება მის ამპლუას ნაკრებში, ვფიქრობ, ის უფრო დაცვითი სტილის ნახევარმცველია.

— გუნდის ლიდერად ვინ მიგაჩნიათ?

— არ შეიძლება, რომ გუნდის თამაში ერთ ფეხბურთელზე იყოს აგებული. ასეთი რამ თანამედროვე ფეხბურთში თითქმის აღარ არსებობს. ტექნიკური მოთამაშეები კი საქართველოს ნაკრებში ბლომად არიან.

პრესკონფერენციას ნაკრების მეკარეთა მწვრთნელი *ოთარ გაბელიაც* ესწრებოდა და აკაკი დევაძეზე მოუწია ლაპარაკმა.

— დევაძეს ვუთხარი, თუ ასი პროცენტით არ იქნება აუცილებელი კარიდან გამოსვლა, მაშინ არ გამოხვიდე, კარიდან რისკიანი გამოსვლა საჭირო არ არის-მეთქი. დევაძეს კარგი რეაქცია აქვს და ჯობდა, არ გამოსულიყო ჩაწოდებებზე და მერე მოეგერიებინა ბურთი. ჩვენ ვითვალისწინებდით იმას, თუ რა სიტუაციაში და რა გუნდთან გვიწევდა თამაში, იმასაც ვითვალისწინებდით, რომ თურქებს ტანმაღალი ჰაკან შუქური ეყოლებოდათ. რაც შეეხება გაშვებულ გოლს, ჩაწოდების მომენტში დევაძე სხვა პოზიციაზე რომ მდგარიყო, შეეძლო გამოსვლაზე თამაში, მაგრამ იმ პოზიციიდან, რომელშიც იყო, კარიდან ნაღდად ვერ გამოვიდოდა. მთლიანობაში დევაძემ ნორმალურად ითამაშა.

დავით თავართქილაძე

ერთი ცუდი და ორი კარგი ამბავი

ბადრი ჯეფილაძის ფოტო

გუშინ, საღამოს 5 საათზე, თურქეთმოვლილი საქართველოს ნაკრები „დინამოს" საწვრთნელ ბაზას მიადგა და მსუბუქად წაივარჯიშა. ჩვენებს ორიოდ დღეში კერკეტ ალბანეთთან ურთულესი მატჩი ელით და ალენ ჟირესიც ყველანაირად ცდილობს, ბიჭები ტონუსში ამყოფოს.

ნაკრებს ერთადერთი წევრი აკლდა — თურქეთში დაშავებული ზურაბ ხიზანიშვილი, რომელსაც ტვინის შერყევა დაუდგინეს და ფაქტობრივად გადაწყეტილია, რომ ალბანეთთან ვერ ითამაშებს. დანარჩენთაგან ზოგს მცირე ტრავმა კი აწუხებს, მაგრამ საშიში და სერიოზული არაფერია.

სასიხარულოა, რომ დანაკლისის გარდა კარგი ამბავიც გვაქვს — ლევან კობიაშვილმა და ალექსანდრე იაშვილმა გუშინ სრული დატვირთვით ივარჯიშეს. გეხსომებათ, კობიაშვილმა კბილის ტკივილის გამო ვერ ითამაშა ტრაპიზონში, იაშვილს კი სიცხემ არ მისცა მოედანზე გასვლის საშუალება. ერთი სიტყვით, დღეს ორივე ჯანზეა და საალბანეთოდ ემზადება.

ვარჯიშის დაწყებამდე ალენ ჟირესმა ბიჭები შეკრიბა და კარგა ხანს ესაუბრა. რაზე, ცხადია, მე ვერ გეტყვით, ბიჭები კი გულდასმით უსმენდნენ მწვრთნელს და მაშინაც და ვარჯიშის დროსაც ეტყობოდათ, რომ პირველი გამოცდა ჩააბარეს და ახლა მეორისთვის ილესავენ კბილებს.

თავიდან ჟირესმა ნაკრები ორად გაყო — ათი ნათურქეთალი (ხიზანიშვილის გამოკლებით) ფიზმომზადების მწვრთნელ ავთო ბერიძეს „მიაბარა", დანარჩენები კი თავად დაიტოვა და ბურთით ავარჯიშა. ეგ იყო, გოჩა ჯამარულმა და ლევან ცქიტიშვილმა ძირითადი ათეული მალევე დატოვეს და მხოლოდ ძუნძულს დასჯერდნენ.

ვარჯიში დიდხანს არ გაგრძელებულა. კვადრატების და ტაქტიკური კომბინაციების დამუშავების შემდეგ ჟირესმა ნათურქეთალი ძირითადი შემადგენლობა დაითხოვა, სხვებს კი პატარა „ორკარა" გააჩაღებინა. ეგ იყო და ეგ, დღეს კი ნაკრებს ორჯერადი ვარჯიში აქვს.

კახა შალამბერიძე

ალექსანდრე იაშვილი და ლევან კობიაშვილი საალბანეთოდ ემზადებიან

ბადრი ჯეფილაძის ფოტო

ბაფრი ეფოლოლი ფოტო

იმედი გვაქვს, სეხნიები — ცქიტიშვილი (მარცხნივ) და კობიაშვილი ალბანელებთან ისევ ერთად ითამაშებენ

ცქიტიშვილი საკუთარ პასებზე თვალს ხუჭავს

მთავარი გოლი და ქულაა

ლევან ცქიტიშვილი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო ტრაპიზონულ მატჩში. ფრაიბურგელმა შუა ხაზშიც დაუღალავად იმუშავა და ჩვენების შექმნილი ყველა სახიფათო მომენტიც მისი ფეხიდან შეიქმნა. „ცქიტოს“ ჩაწოდებას მოჰყვა ზურაბ ხიზანიშვილის ძელსგარტყმული თავური და მალხაზ ასათიანის ნანატრი გოლიც. ერთხელ კინაღამ თავადაც გაიტანა, თუმც მისი ჯარიმიდან გასროლილი რუშთუმ დიდი საცოდაობით, გულ-მკერდით მოიგერია. მოკლედ, თურქეთში ლევანი ჟირესის კრებულის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა, თუმც თავად ტრაპიზონიდან წამოღებულ ქულას გუნდურ სულს მიანერს...

— ლიდერობის რა გითხრათ, როგორც ყველამ, მეც თავდადებით ვიბრძოლე. თანაც, ეს ის მატჩი არ იყო, ერთი კონკრეტული ფეხბურთელი გამორჩეულიყო. ჩემი აზრით, შედეგი ლოგიკურია, ამდენი მომენტიდან ერთ გოლს მაინც ვიმსახურებით.

— შენი სტანდარტულებიდან უკლებლივ ყველა სახიფათო იყო...

— საერთოდ, ყველა სტანდარტული კარგად გამოგვივიდა. რა თქმა უნდა, მიხარია, საგოლე პასი რომ მივითვალე, მაგრამ ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მთავარია, რომ გავიტანეთ, საჭირო ქულა მოვიპოვეთ და გულშემატკივრები გავახარეთ.

— შედეგი უდავოდ გასახარია, მაგრამ ნაკრების თამაში კვლავ ნელი, უტემპო იყო...

— ყველაფერი სიტუაციამ და თამაშის მიმდინარეობამ მოიტანა. თურქებს რომ უფრო მეტი ერბინათ, ჩვენც ავყვებოდით. ისე, დაბალი ტემპი ნამდვილად არ ყოფილა.

— მეორე ტაიმში თურქებმა უხეშობას უმატეს, რაც ძვირადაც დაუჯდათ. ეს ნერვიულობის ბრალი იყო?

— ალბათ ძველი 3:0 ახსოვდათ და ჩვენგან ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდნენ.

— წინ ალბანეთთან მატჩია და თურქეთთან მიღწეული ფრე ზედმეტად ხომ არ გაგათამამებთ?

— ახლა მოდუნების დრო არ არის. ალბანელებმა გუშინ ევროპის ჩემპიონი გაამწარეს და მარტო ამისთვის ღირს მათი დაფასება, თუმც მათ აუცილებლად უნდა მოვუგოთ. პირადად მე გათამამება და კონცენტრაციის დაკარგვა არ მჩვევია. ერთი რამ ცხადია, ძალიან თანაბარ ჯგუფში ვართ და თითოეულ ქულას ოქროს ფასი ექნება.

ილია ნანოგაშვილი

geo_geo_fan@hotmail.com

კაკ აბიჩნა

თურქეთი, როგორც იქნა, გადავაგორეთ. რამდენიმე დღეც და თბილისში ჩვენი ჯგუფის ლიდერი ალბანეთი ჩამოვა. მოვუგებთ და, ეგებ ლიდერობაც გადავიბაროთ. მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდებით თუ ვერ ვიქნებით პირველ ადგილზე. მაგრამ საამისოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგებაა საჭირო, რაც, ერთი შეხედვით, ალბანეთთან არ უნდა გაგვიჭირდეს.

თუმცა ისიცაა, რომ ჩვენი მკითხველის წერილებში, ნათურქეთევს რომ მივიღეთ, ტრაპიზონული ქულით განსაკუთრებული აღფრთოვანება არ შეინიშნება, რასაც თავისი მიზეზები აქვს და თუ რა მიზეზებზეა ლაპარაკი, ახლავე მოგახსენებთ, უფრო სწორად, გულშემატკივრები თავად მოგახსენებენ

KASPERON: ჩვენი ფეხბურთელების თამაშში ბევრი ხარვეზი იყო, მაგრამ დადებითიც რომ ბევრი იყო, ამას წყალი არ გაუვა. ჟირესს ბევრი მუშაობა დასჭირდება ხარვეზების გამოსასწორებლად. ისე, უნდა ითქვას, რომ მოგებაც შეგვეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხუთ წუთს კუჭის კანკალით ვუყურე გოლის არგაშვების ფიქრში. ჯობდა, ჩვენებს უფრო მრისხანედ შეეტიათ.

მომდევნო წერილი მალხაზ ასათიანს შეუძლია წაიკითხოს, ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს კი ვურჩევ, გამოტოვოს.

GBERIDZE1987: ტრაპიზონული მატჩით კმაყოფილი ვარ, რადგან ჩემს წინა წერილში გამოთქმული ვარაუდი, 1:0 ან 1:1 გამართლდა. სხვა მხრივ კი, მძიმე იყო თურქეთისა და საქართველოს ნაკრებების 90-წუთიანი წვალების ყურება. საბოლოოდ კი, მალხაზ ასათიანმა კიდევ რამდენიმე მატჩით გაუხანგრძლივა სანაკრებო კარიერა:

— შოთა არველაძეს, რომელმაც ხიზანიშვილს სახეში იდაყვის ჩარტყმის გარდა (სწორედ მაგ დროს გავუშვით გოლი) თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა;

— გოჩა ჯამარაულს, რომელმაც დიდი ფეხბურთელების მსგავსად 10-ნომრიანი მაისურა მოირგო, მაგრამ ვერც ერთი ზუსტი პასი ვერ გააკეთა;

— ლევან ცქიტიშვილს, რომელიც მოედანზე რას აკეთებდა, თვითონაც ვერ გაიგო.

ასე რომ, თავი იმითღა ვინუგეშოთ, რომ ასათიანის დარი ფეხბურთელი გვყავს და ჯგუფში ყველაფერი ჩვენთვის კარგად დაიწყო.

აქ ერთი წუთით შევჩერდეთ. პატივცემული **GBERIDZE1987**-ის მოსაზრებებს ბევრი მომხრე ეყოლება და ბევრიც მოწინააღმდეგე. მაგალითად, ვილაც იტყვის, რომ საგოლე პასი სწორედ ცქიტიშვილმა გააკეთა. ამიტომ კარგი იქნება, თუ ამაზეც ვისაუბრებთ — რომელმა ფეხბურთელმა ითამაშა კარგად და რომელს შეეძლო უკეთესად ეთამაშა.

ისე, შეგიძლიათ, სულაც თავი შეიკავოთ, როგორც ჩვენი ძველი ავტორი **MEZVRO** აკეთებს:

— რა უნდა მოვიწეროთ საქართველოს თამაშზე? კარგს ვერაფერს ვიტყვი. ცუდის თქმისგან კი თავს შევიკავებ. უკვე მომაბეზრებელია საქართველოს ნაკრების კრიტიკა: რამეს შეცვლის კი ეს კრიტიკა? საკვირველია, ასეთი თამაშით ფრეს როგორ გამოვკარით ხელი. თურქებსაც ვერ ჰქონიათ დალაგებულად საქმე, ჩვენნაირ გუნდს შინ რომ ვერ უგებენ. ალბანეთთან თამაშზე ვინმე მივა საერთოდ? თუ ინტერნეტ-გვერდზე შეცდომა არ არის, ალბანეთს ბერძნებისთვის მოუგია 2:1, ამ წამს ვნახე. ამ ბერძნებმა როგორ სულ სიურპრიზები უნდა შემოგვთავაზონ. ვისთანაც წასაგებია, იმას უგებენ და პირიქით, მოსაგებს აგებენ. აბა, კარგად, ღმერთმა ქნას, სასიკეთოდ წარიმართოს ყველაფერი, მაგრამ... მე უკვე ამის აღარ მჯერა. ახლა რომ ტოტალიზატორში ვიჯდე და ფული მედოს ჯიბეში, GEO — ალბანეთის ერთიანზე ნაღდად არ დავდებ ფულს.

MEZVRO, ძალიან ცუდია, ფული თუ არ გაქვს. ბერძნების თაობაზე კი მგონია, რომ მათ თავიანთი შესაძლებლობები ამოწურეს და მათი ტაქტიკა ყველამ გაშიფრა. ხოლო თუ გაშიფრეს, კონტრტაქტიკასაც შეიმუშავებდნენ.

მომდევნო წერილიც ჩვენი ძველი ავტორისგანაა, რომელიც იმ მოსაზრებას ქადაგებს, რომლის მიხედვითაც 19.. წლიდან ყველა თამაში ჩაწყობილია.

სიმპატიაგა BOY: ჯერ ის მინდა ვთქვა, რომ საბერძნეთის ნაკრები ჩარჩება ჯგუფში და მაგაში 200 პროცენტით ვარ დარწმუნებული. ახლავე დაგისაბუთებ, რატომ მგონია ასე. საბერძნეთი ჩემპიონი კი არ გახდა, „უილიამ ჰილმა“ გახადა და ეს ისე იყო, როგორც ორჯერ ორი ოთხია. ჰოდა, ადგება ეს შენი „უილიამ ჰილი“ და ახლა რომ ყველა იმაზე ითამაშებს, საბერძნეთი გავა ჯგუფიდანო, ჩარჩება.

რაც შეგვეხება ჩვენ. შეიძლება, საქართველო გავიდეს ჯგუფიდან და იცი, რის მერე გამიჩნდა ეს ეჭვი? გახსოვს, ჟორდანია ლონდონში რომ იყო, ვითომდა აბრამოვიჩთან საქმეზე, ჰოდა, ადგა ეგ თქვენი არკადიჩი და დააჯახა მერაბი ტოტალიზატორის მამებს და ახლა არ მკითხოთ, რატომ გგონია, რომ „ჰილი“ აბრამოვიჩთან თანამშრომლობსო. აბა რა, მართლა გგონია, რომ მაგან „ჩელსი“ ხალისისთვის და მუღამისთვის იყიდა? ჰმ, ეგ გუნდი კი არა, ფულის საჭრელი მანქანა იქნება, რა თქმა უნდა, ტოტალიზატორიდან. ჰოდა, რას ვამბობდი, არ გამიკვირდება, თუ ეგ ჩვენი ნაქები საქართველო გავა (ან გაიყვანენ), თუ არადა, რა თამაშები დაჯდება, აგერ შენ და აგერ მეც. კიდევ მოგწერ.

კიდევ მოიწერე.

დღევანდელი ბოლო წერილიც ჩვენი ძველი მეგობრისგანაა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის დღეებშიც სისტემატიურად გვწერდა. მისი წერილის სათაური კი, სურვილი გამიჩნდა, მიმოხილვის სათაურად გამომეტანა. თან ისიც მინდოდა, მიმოხილვა იმედიანად დამემთავრებინა. მოკლედ, **LONG70**-ის წერილი „კაკ აბიჩნა“:

— ამ უცნაურ სათაურს ალბათ პატარა შესავალი უნდა: ძმაკაცი მყავს რატი, პრეფერანსს ვთამაშობთ-ხოლმე ერთად და როცა იგებს (როგორც წესი, ხშირად) ამბობს ხოლმე — „კაკ აბიჩნა“.

ჰოდა, გუშინდელი თამაში სწორედ რომ პირიქით — „ნე კაკ აბიჩნა“ იყო!

მე უბრალოდ აღარ მახსოვს, როდის გააძევეს ჩვენი მოწინააღმდეგე ბოლოს (მგონი, ლატვიასთან იყო ოთხიოდე წლის წინ)!

მე ნამდვილად არ მახსოვს საქართველოს ნაკრების მიერ სტანდარტულიდან (თანაც თავით) გატანილი გოლი!

მე არ მახსოვს გაშვებული გოლის შემდეგ არდაბნეული, შემტევი და გამთანაბრებელი საქართველოს ნაკრები!!! მოდი სულ ასე (ბევრად უფრო უკეთ) გვეთამაშოს და მაშინ, როგორც რატი ამბობს ხოლმე, ყველა გამარჯვება „კაკ აბიჩნა“ იქნება.

ღმერთმა გისმინოს, მაგრამ... მოკლედ, მოიწერეთ.

WEB ოსტატი ბუარა

geo_geo_fan@hotmail.com

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

ალბანეთში ბურთი ატრიალეს, საბერძნეთში დანა

ბრიგელი თბილისში ფრეს უმიზნებს



REUTERS ტირანიდან

ბერძენთა ძლევით სრულიად ალბანეთმა, ფეხბურთელებიან-მაყურებლიანად ისე გაიხარა, თავი ამერიკას დაადარეს

ალბანეთი 2:1 საბერძნეთი

1:0 მურატი (2), 2:0 ალიაი (10), 2:1 იანაკოპულოსი (38)

ალბანეთი: სტრაკოშა, ბექირი, კანა, ალიაი, ჰასი, დურო, ლალა, შკელა, მურატი, ტარე, მურტაი (დრაგუშა 73)

მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, ფისასი (ცარტასი 33), დაბიზასი (იანაკოპულოსი 17), კაპსისი, ბასინასი, ზაგორაკისი, კაცურანისი, ხარისტიასი, კარაგუნისი, ვრიზასი (პაპადოპულოსი 66)

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

დავიწყოთ იმით, რომ ამ მატჩს ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო შვიდი დაჭრილ-დასახჩრებული საავადმყოფოში წევს. პირველი შეტაკება საბერძნეთის კუნძულ ზატინკისზე მოხდა — ბერძნებმა სამი ალბანელი ემიგრანტი გამოიჭირეს, ერთი სასიკვდილოდ დაჭრეს დანით, ხოლო ორს კარგად ვერ დაუსვეს ბასრი ლითონი — ისინი ჭრილობებს საავადმყოფოში იშუშებენ. მეორე შეტაკება ათენში იყო — იქ ბერძნებმა ოთხი ალბანელი დაჭრეს, ხოლო ალბანელებმა ერთი ბერძენი.

ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ ალბანეთმა შინ ევროპის ჩემპიონი წააქცია, თანაც მასპინძლებმა პირველ ათ წუთში მოითავეს საქმე. ედვინ მურტაიმ ფლორიან მურატის ჩაწოდებით იხეირა, ხოლო რვა წუთის შემდეგ ადრიან ალიაიმ ოცდაათიოდე მეტრიდან დაურტყა ღონიერი ჯარიმა ბერძენთა მეკარე ნიკოპოლიდისს და 2:0. ბერძნები მეტოქის ჩრდილქვეშ მოექცნენ. ევროპის ჩემპიონებს ცენტრალური მცველი ტრაინის დელასი კი აკლდათ, მაგრამ მისი არყოფნით თავს ვერ გაიმართლებენ. ისიცაა, რომ ბერძნებს ალბანეთში არასოდეს მოუგიათ.

თუმც, როცა პირველ ტაიმში ვასილიოს ცარტასის პასით სტილიანოს იანაკოპულოსმა ერთი გოლი გაქვითა, ალბანელთა გამარჯვება საეჭვო გახდა. მეორე ტაიმში ბერძნები მეტოქეს ოდნავ მეტს, მაგრამ უსისხლოდ უტევდნენ. ერთადერთი შანსი გეორგიოს კარაგუნისს მიეცა 85-ე წუთზე, მაგრამ ფოტო სტრაკოშამ იმარჯვა.

ანგელოს ხარისტიასი და ზისის ვრიზასი კი ფაქტობრივად ვერანაირ პრობლემებს ვერ უქმნიდნენ მასპინძელთა მეკარეს და მცველებს.

„ორი გოლი ძალიან ადრე გავუშვით და თამაშის შემობრუნება ვეღარ შევძელით. ერთადერთი რამის თქმაღა შეშიძლია — სიტუაცია თურქეთთან მატჩში უნდა გამოვასწოროთ“ — უთქვამს ნამატჩევს ბერძენთა გერმანელ მწვრთნელს ოტო რეჰაგელს.

ალბანელთა ასევე გერმანელმა თავკაცმა ჰანს-პეტერ ბრიგელმა კი განაცხადა: „მიწაზე ფეხები ყოველთვის მყარად უნდა გვედგას. ალბანეთმა დიდ გუნდთან კარგად ითამაშა“. ალბანელმა ჟურნალისტებმა ბრიგელს 8 სექტემბრის საქართველოსთან მატჩზე ჰკითხეს და მწვრთნელმა უპასუხა, თბილისში ფრეს ვუმიზნებთო.

მოკლედ, ჯგუფის ლიდერი ალბანეთი შეიქნა და მისმა ნახევარმცველმა კლოდიან დურომ კადნიერად თქვა: „დაე, მსოფლიომ იცოდეს, რომ აქ საუკეთესონი ჩვენ ვართ“.

დურომ „აქ“-ში, ცხადია, ტირანა იგულისხმა, რომლის ცენტრში ნამატჩევს ათასობით ალბანელი გულშემატკივარი შეიკრიბა და დროშების ფრიალის გარდა ფოიერვერკებითაც დაიკმაყოფილა ინსტინქტები. ზეიმმა მთელი ალბანეთი მოიცვა, ხოლო ყველაზე პოპულარული ლოზუნგი ასეთი იყო: „საბერძნეთო, ეს პორტუგალია არ არის!“

ერთიც, ბრიგელიც და რეჰაგელიც ნამატჩევს ჟურნალისტებს ცალ-ცალკე ესაუბრებოდნენ. რამდენიმე წლის წინ რეჰაგელი „კაიზერსლაუტერნს“ წვრთნიდა და ბრიგელი მისი თანაშემწე იყო — პირველად სწორედ მაშინ წაეკიდნენ ისინი ერთმანეთს.

დავით თავართქილაძე

ბლოხინმა დანიაში სკამი გაითბო

დანია 1:1 უკრაინა

1:0 იორგენსენი (9), 1:1 გუსინი (55)

დანია: სორენსენი, ბოგელუნდი (პრისკე 44), პოულსენი (კ. იენსენი 65), კროულდრუპი, ნ. იენსენი, ჰელვეგი, ტომასონი, იორგენსენი, გრონკიაერი, გრავესენი, მადსენი (პედერსენი 78)

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

უკრაინა: შოვკოვსკი, ნესმაჩნი, რუსოლი, ტიმოშჩუკი, ეზერსკი, შელაევი, გუსინი (მატიუხინი 67), შევჩენკო, გუსევი (ზაკარლიუკა 76), სტაროსტიაკი, ვორობეი (რადჩენკო 83)

მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

МОЛОДЦЫ!!! ასე გამოეხმაურა უკრაინა თავის ეროვნულ გუნდს. დანიიდან წამოღებული ქულა ოლეგ ბლოხინის სამწყსოს დიდ წარმატებად შეუფასეს და ამაში გასაკვირიც არაფერია.

ბლოხინი ნაკრების სათავეში რჩება. ამ მატჩში ფეხის დაცდენას უკრაინელთა თავკაცს არავინ აპატიებდა. მართალია, ბლოხინის ხელში გუნდს ჯერაც არ მოუგია, მაგრამ დანიასთან ქულა ძალიან ძვირად ფასობს.

მატჩი დანიელთა უპირატესობით დაიწყო და მთელი პირველი ტაიმი ასე გაგრძელდა. მორტენ ოლსენის შეგირდებს რამდენჯერმე შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ მიზანი ღალატობდათ. ერთადერთი საგოლე დარტყმა მარტინ იორგენსენისა იყო მე-9 წუთზე

ეს იყო და, რამდენიმე წუთში მადსენს შეეძლო უკრაინელთა დასამარება, მაგრამ ხუთი მეტრიდან ცარიელ კარს ააცილა.

დანია ფლანგური შეტევებით შლიდა უკრაინელთა დაცვის ხაზს. გრონკიაერისა და იორგენსენის გარღვევებს სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს, თუმც რად გინდა...



REUTERS კოპენჰაგენიდან

უკრაინელებმა ტომას გრავესენიც (№7) გააჩერეს და მთელი დანიაც

მეორე ტაიმი ისე განსხვავდებოდა პირველისგან, როგორც ძელი და ბურთი. უკრაინელებმა მწვავე კონტრშეტევებს უხშირეს და 55-ე წუთზე ანგარიშიც გაათანაბრეს — ანატოლი ტიმოშჩუკის კუთხურს ოლეგ გუსინის აუღებელი თავური მოჰყვა — 1:1.

ოლეგ ბლოხინი: ბიჭების მადლობელი ვარ, ბოლომდე იბრძოლეს. ვფიქრობ, შედეგი კანონზომიერია, თუმც მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო. ახლა ყაზახეთთან სათამაშოდ უნდა მოვემზადოთ.

მორტენ ოლსენი: ჩვენი დღევანდელი მეტოქე ძალიან რთული გუნდია. ძირითადად დაცვიდან თამაშობს, რამაც სიძნელეები შეგვიქმნა, თუმც მოგება მაინც შეგვეძლო. არა უშავს, ერთ-ერთ კონკურენტთან საშინაო ფრე საგანგაშო არ არის. წინ კიდევ ბევრი თამაში გველის.

კახა შალამბერიძე

ალბანეთი	1	1	0	0	2:1	3
საქართველო	1	0	1	0	1:1	1
უკრაინა	1	0	1	0	1:1	1
დანია	1	0	1	0	1:1	1
თურქეთი	1	0	1	0	1:1	1
ყაზახეთი	0	0	0	0	0:0	0
საბერძნეთი	1	0	0	1	1:2	0

8 სექტემბერი, 2004 წელი

ყაზახეთი — უკრაინა
საქართველო — ალბანეთი
საბერძნეთი — თურქეთი

9 ოქტომბერი, 2004 წელი

თურქეთი — ყაზახეთი
ალბანეთი — დანია
უკრაინა — საბერძნეთი

13 ოქტომბერი, 2004 წელი

ყაზახეთი — ალბანეთი
დანია — თურქეთი
უკრაინა — საქართველო

17 ნოემბერი, 2004 წელი

საბერძნეთი — ყაზახეთი
საქართველო — დანია
თურქეთი — უკრაინა

9 თებერვალი, 2005 წელი

საბერძნეთი — დანია
ალბანეთი — უკრაინა

26 მარტი, 2005 წელი

დანია — ყაზახეთი
საქართველო — საბერძნეთი
თურქეთი — ალბანეთი

30 მარტი, 2005 წელი

უკრაინა — დანია
საქართველო — თურქეთი
საბერძნეთი — ალბანეთი

4 ივნისი, 2005 წელი

უკრაინა — ყაზახეთი
ალბანეთი — საქართველო
თურქეთი — საბერძნეთი

8 ივნისი, 2005 წელი

ყაზახეთი — თურქეთი
დანია — ალბანეთი
საბერძნეთი — უკრაინა

17 აგვისტო, 2005 წელი

ყაზახეთი — საქართველო

3 სექტემბერი, 2005 წელი

ალბანეთი — ყაზახეთი
თურქეთი — დანია
საქართველო — უკრაინა

7 სექტემბერი, 2005 წელი

ყაზახეთი — საბერძნეთი
დანია — საქართველო
უკრაინა — თურქეთი

8 ოქტომბერი, 2005 წელი

საქართველო — ყაზახეთი
დანია — საბერძნეთი
უკრაინა — ალბანეთი

12 ოქტომბერი, 2005 წელი

ყაზახეთი — დანია
საბერძნეთი — საქართველო
ალბანეთი — თურქეთი

ახალგაზრდულები

თურქეთი 0:0 საქართველო
ალბანეთი 1:1 საბერძნეთი
დანია 3:2 უკრაინა

დანია	1	1	0	0	3:2	3
საბერძნეთი	1	0	1	0	1:1	1
ალბანეთი	1	0	1	0	1:1	1
საქართველო	1	0	1	0	0:0	1
თურქეთი	1	0	1	0	0:0	1
ყაზახეთი	0	0	0	0	0:0	0
უკრაინა	1	0	0	1	2:3	0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

მუტუს საფირმო სენსაცია ჩაშალა

I ჯგუფი

ფინეთი 3:0 ანდორა

1:0, 2:0 ერიომენკო (42, 64), 3:0 რიიპილანტი (58)

რუმინეთი 2:1 მაკედონია

1:0 პაშუ (16), 1:1 ვასოვსკი (75), 2:1 მუტუ (88)

გაძევება: სუმოლოკოვსკი (მაკედონია, 89)

ადრიან მუტუმ რუმინეთს სამი ქულა მოუტანა

შაბათს მეტ-ნაკლები სენსაცია მზადებოდა პირველ ჯგუფში, მაგრამ „ჩელსის" ფორვარდმა ადრიან მუტუმ არ დაანება — თამაშის დასრულებამდე ორი წუთი რჩებოდა, როცა მან რუმინეთის გამარჯვებისა შეაგდო.

მუტუმ გამარჯვების გოლი საფირმო დარტყმით გაიტანა, საჯარიმო მისივე წაქცევისთვის დაინიშნა. კარამდე 22 მეტრი იყო, მაგრამ მაკედონიელთა მეკარე პეტერ მილოშევსკიმ დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა.

ანგარიში კი დანიელ პანჩუმ გახსა მე-16 წუთზე, რასაც სტუმარებმა კონტრშეტევებზე თამაში დაუპირისპირეს და თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე სარგებელიც ნახეს — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ალექსანდერ ვასოკსკიმ თავი შეაგება.

ბოლოს კი, როგორც მოგახსენეთ, მუტუს გოლი იყო, თუმც თამაში ამით არ დამთავრდა, ბოლოსწინა წუთზე მაკედონიელებს მეორე გაფრთხილებით სუმოლოკოვსკი გაუგდეს, თუმც ამ გაძევებას საბოლოო შედეგზე გავლენა აღარ მოუხდენია.

ჯგუფის მეორე მატჩში ფინეთმა იოლად დაჯაბნა ანდორა, რაც, ცხადია, არ გაგიკვირდებათ.

						ირაკლი ნინიძე
რუმინეთი	2	2	0	0	4:2	6
ფინეთი	2	1	0	1	4:2	3
მაკედონია	2	1	0	1	4:2	3
ჩეხეთი	0	0	0	0	0:0	0
ჰოლანდია	0	0	0	0	0:0	0
ანდორა	1	0	0	1	0:3	0
სლოვენეთი	1	0	0	1	0:3	0

IV ჯგუფი

საფრანგეთი 0:0 ისრაელი

საფრანგეთი: კუპე, გალასი, სკილაჩი, ჟივე, მენდი (ჟიული 57), მაკელელე, ვიეირა, ევრა, როტენი (პირესი 66), ანრი, საა

ისრაელი: დავიდოვიჩი, ბენ ჰაიმი, რაჰამინი, ბანოდო, ანტები (კეისი 13), ბადერი, ბენაუიონი (ნიმნი 80), ტალი, აფეკი (გასალი 70), გოლანი, კატალი

ირლანდია 3:0 კვიპროსი

1:0 მორისონი (33), 2:0 რიდი (38), 3:0 რობი კინი (55 პენ)

რაიმონდ დომენეკი

დომენეკის გულით ნული

საფრანგეთის ნაკრებმა, როგორც ამბობენ, ახალი კამპანია იმედის გაცრუებით — შინ „სტად დე ფრანსზე" ისრაელთან 0:0-ით დაიწყო. „ლურჯები", რომლებიც რაიმონ დომენეკის ხელმძღვანელობით პირველ ოფიციალურ შეხვედრას ატარებდნენ, ნაკლებად სახელოვან სტუმრებთან შედარებით, როგორც გაირკვა, პრაქტიკულ უპირატესობას ვერ ფლობდნენ. ის მომენტები, რომლებიც 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონებმა შექმნეს, მომენტებად დარჩა — უილიამ გალასმა და ტიერი ანრიმ ტაიმში თითო საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან.

მატჩის შემდეგ დომენეკმა განაცხადა: „შედეგით ნამდვილად უკმაყოფილო ვართ, მაგრამ ფაქტია, რომ მთელი გულით ვითამაშეთ. მნიშვნელოვანი იყო, რომ ცალკეულ ეპიზოდებში კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ამ საფუძველზე ნამდვილად შეიძლება მუშაობა".

მეორე მხრივ, ფრანგების წარუმატებლობა ნაკრებში თაობათა ცვლით არის განპირობებული და ამდენად მოულოდნელი არ გახლავთ. შეგახსენებთ, რომ ევრო 2004-ის შემდეგ ლურჯი ფორმა გაიხადეს ზინედინ ზიდანმა, ლილიან ტურამმა, მარსელ დესაიმ და ბიქსენტ ლიზარაზუმ.

დომენეკმაც ყურადღება აშკარად ახალგაზრდებზე გადაიტანა და მომავალში, სავარაუდოდ, სულ მეტად და მეტად გაუდგება ამ გზას, მაგრამ ისრაელთან მატჩი ისე დაიწყო, რომ ფრანგებს პირველი ათი წუთის განმავლობაში საერთოდ არაფერი გამოუვიდათ. ერთი ეგ იყო, რომ გალასის თავური მცველმა საბან რაჰამიმმა მოიგერია კარის ხაზიდან.

მე-18 წუთზე მწვავე კონტრშეტევა იმით დასრულდა, რომ ტიერი ანრის დაწყებული შეტევა ლუი საამ ვერ დააგვირგვინა. სტუმრები, თავის მხრივ, ბურთს კი ფლობდნენ, მაგრამ მეკარე გრეგორი კუპეს კართან მიახლოებას და სახიფათო მომენტის შექმნას ვერ ახერხებდნენ.

საფრანგეთიდან ერთი ქულის წაღებამ ისრაელის მწვრთნელი აბრაამ გრანტი, ბუნებრივია, გაახარა:

„პირველი შეხვედრა გვქონდა და პირველივე ასეთი კარგი შედეგით დავასრულეთ. საფრანგეთიდან ქულის წამოღება სახუმარო საქმე ხომ არ არის".

28-ე წუთზე კლოდ მაკელელეს შეტევას ბრწყინვალედ დაუპირისპირდა მეკარე ნირ დავიდოვიჩი. შემდეგ ისევ საას შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მიზანს ააცილა.

57-ე წუთზე 4-4-2 განლაგება დომენეკმა 3-5-2 განლაგებით შეცვალა. ეს ბერნარ მენდის ნაცვლად ლუდოვიკ ჟიულის შეყვანით განახორციელა. შემდეგ ჟერომ როტენის ნაცვლად მოედანზე რობერ პირესი შევიდა, მაგრამ არც მისი და ანრის არსენალურმა კომბინაციამ მოიტანა შედეგი.

						პაპუნა კედია
შვეიცარია	1	1	0	0	6:0	3
ირლანდია	1	1	0	0	3:0	3
საფრანგეთი	1	0	1	0	0:0	1
ისრაელი	1	0	1	0	0:0	1
კვიპროსი	1	0	0	1	0:3	0
ფარერები	1	0	0	1	0:6	0



ტიერი ანრი (№12) საგოლედ ერთხელაც ვერ გაიქცა

REUTERS ზარი ზიდან

პირველი სიმპართლე

III ჯგუფი

ესტონეთი 4:0 ლუქსემბურგი

1:0 ტეევერი (7), 2:0 შაუსი (41ს.კ.), 3:0 ოპერი (61), 4:0 ვიიკმაე (66)

გაძევება: ჰუსი (ლუქსემბურგი, 34)

რუსეთი 1:1 სლოვაკეთი

1:0 ბულიკინი (14), 1:1 ვიტეკი (87)

ლატვია 0:2 პორტუგალია

0:1 კრისტიანო რონალდო (58), 0:2 პაულეტა (59)

ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას, ან ეგებ უფრო ადრეც, ალბათ, გიფიქრიათ, კრისტიანო რონალდოს დიდი მომავალი აქვსო. ვინძლო არც შემცდარხართ, რაკი ევრო 2004-ის გმირთაგანმა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ შეხვედრაშიც ისახელა თავი და განახლებული პორტუგალიის ნაკრების პირველი გამარჯვების შემოქმედიც გახდა — გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც გაახერხა.

უგოლო პირველი ტაიმის მერე, 58-ე წუთზე, პატარა რონალდომ ლატვიელ მცველთაგან ასხლეტილ ბურთს ახლოდან დაარტყა და ანგარიში გახსნა, პორტუგალიელთა მომდევნო იერიშისას კი პაულეტას უპასა საგოლედ. ეგებ გასახსნებლად ღირდეს კიდეც, რომ ეს ის პაულეტაა, სკოლარი ევროპის ჩემპიონატზე ბოლომდე რომ ენდო, მან კი ერთი გოლიც ვერ გაიტანა.

ნამატჩევს კი სკოლარიმ თქვა: „შესარჩევ ციკლში პირველი დიდი ნაბიჯი გადავდგით. ვიცოდით, რომ რიგაში მოგება ძალიან ძნელი იქნებოდა და ვეცადეთ, მეტოქისთვის ჩვენი თამაში მოგვეხვია თავს".

შედეგი სამართლიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რაკი ლატვიელებს პორტუგალიელთა კართან ერთი საგოლე მომენტიც არ შეუქმნიათ, შეხვედრის ყველაზე საინტერესო ეპიზოდი კი მოედანზე შიშველი გოგონას გადმოხტომა გახდა, ამორძალმა სკოლარისაც კი აუძგერა გული და ღიმილი მოჰგვარა.

„შიშველი გოგოს გამოვარდნა, რა თქმა უნდა, მატჩის საკვანძო მომენტი იყო — აღიარა სკოლარიმ — სწორედ ამის შემდეგ და საკმაოდ სწრაფადაც გავიტანეთ გოლი".

ლატვიელთა მწვრთნელმა ალექსანდრს სტარკოვსმა კი თქვა: „ცუდად არ გვითამაშია და წაგების მიუხედავად, კმაყოფილი ვარ. მარის ვერპაკოვსკისი და ანდრეას პროხორენკოვი დღეს საუკეთესო ფორმაში არ იყვნენ, როცა ჩვეულ ფორმაში შევლენ, დარწმუნებული ვარ, მატჩებს მოვიგებთ".

REUTERS მოსკოვიდან

დმიტრი ბულიკინის (მარცხნივ) გოლი რუსებს მოსაგებად არ ეყოთ

						ირაკლი ნინიძე
ესტონეთი	2	2	0	0	6:1	6
სლოვაკეთი	2	1	1	0	4:2	4
პორტუგალია	1	1	0	0	2:0	3
რუსეთი	1	0	1	0	1:1	1
ლიხტენშტაინი	1	0	0	1	1:2	0
ლატვია	1	0	0	1	0:2	0
ლუქსემბურგი	2	0	0	2	1:7	0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

ლუკა ტონის სადებიუტო გოლი

ლიპის ახალი ტონი

V ჯგუფი

იტალია 2:1 ნორვეგია

0:1 კარუუ (1), 1:1 დე როსი (4), 2:1 ტონი (80)

იტალია: ბუფონი, ბონერა, მატერაცი, ნესტა, ფავალი (დიანა 69), ფიორე, გატუზო, დე როსი, ძამბროტა, მიკოლი (ტონი 74), ჯილარდინო (კორადი 60)

ნორვეგია: ე. იონსენი, ბასმა, რისეტი, ლუნდეკვამი, რიისე, სორენსენი (პედერსენი 86), ფ. იონსენი, ანდერსენი, ჰოსეტი (სოლი 90), რუდი, კარეუ (რუშფელდტი 74)

სლოვენია 3:0 მოლდოვა

1:0, 2:0, 3:0 აჩიმოვიჩი (6, 28, 49)

იტალიისა და ნორვეგიის შეხვედრამ მიმომხილველებს მთავარი შთაბეჭდილება ასეთი დაუტოვა: ამიერიდან „სკუადრა აძურაში" სახელმოხვეჭილ ვარსკვლავებს დიდი კონკურენცია ელით — ნორვეგიელი იონ კარეუს მიერ მატჩის პირველსავე წუთზე გატანილ გოლს იტალიელთაგან ცნობილმა ფეხბურთელებმა კი არა, დანიელე დე როსიმ და ლუკა ტონიმ უპასუხეს.

მატჩის შემდეგ „სკუადრა აძურას" მწვრთნელმა, მარჩელო ლიპიმ განაცხადა: „ბიჭებმა კარგად ითამაშებს და გასახდელში ვთხოვე, ამოესუნთქათ, მოშვებულიყვნენ. მათ მთელი კვირის განმავლობაში ძალიან ბევრი იმუშავეს და ამ მუშაობის სამართლიანი შედეგი გამარჯვება უნდა ყოფილიყო".

მეხუთე შესარჩევ ჯგუფში ნორვეგიის ნაკრები ერთ-ერთი ყველაზე საშიში მეტოქეა, მაგრამ იტალიელებმა ამ მეტოქეს მატჩის საკმაოდ დიდი მონაკვეთების განმავლობაში აჯობეს.

„ასეთი ძლიერი გუნდის დამარცხება, მით უფრო ახლა, როდესაც ის კარგ ფორმაშია, ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა. ერთი სიტყვით, დიდებულ შედეგს მივაღწიეთ" — დასძინა ლიპიმ.

შეგახსენებთ, რომ ლიპის ერა იტალიის ნაკრებში მთლად დიდებულად არ დაწყებულა, იტალიელებმა ამხანაგურ შეხვედრაში ისლანდიასთან წააგეს 0:2 და ახლაც ნორვეგიელებთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ სანერვიულო სტარტი გამოადგათ — 43-ე წამზე კარეუმ გახსნა ანგარიში, თუმცა მასპინძლებმა დაუყოვნებლივ გაათანაბრეს. ეს დანიელე დე როსიმ შეძლო. მოგეხსენებათ, ეს იყო დე როსის დებიუტი „სკუადრა აძურას" სასტარტო შემადგენლობაში, ხოლო მთელი ისტორია კიდევ უფრო დრამატულ ელფერს იმიტომ იძენს, რომ ამ 21 წლის ნახევარმცველს, ტრავმის გამო, აპრილში საერთოდ ფეხბურთიდან წასვლის შავ პერსპექტივაზეც კი ელაპარაკებოდნენ.

„ჩვენი კარგი თამაშის ერთ-ერთი მანიშნებელი ისიც იყო, რომ საშინელი დასაწყისის შემდეგ გული არ გაგვიტყდა და მდგომარეობა მალევე გამოვასწორეთ. ახალგაზრდებმა, ყველამ შთამბეჭდავად ითამაშეს" — განაგრძო იტალიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა, ხოლო დე როსიმ ასე განაცხადა:

„დღეს ჩემთვისაც და ყველასთვისაც საგანგებო დღე გამოვიდა. დიდი მოწადინებით ვითამაშეთ, ქომაგები ემოციას აჰყვნენ და ისიამოვნეს, ხოლო ცხრილში სამი ქულა ჩაიწერა. მე, როგორც დებიუტანტს, ძალიან დამეხმარნენ თანაგუნდელები, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ისინი მთელი გასული კვირის განმავლობაში მამხნევებდნენ, ხოლო დღეს მოედანზე ყველამ მუხლჩაუხრელად გააკეთა თავისი საქმე და შესაბამიად ყველაფერიც კარგად დასრულდა. როდესაც მეტოქემ გოლი თამაშის პირველსავე წამებზე გაგვიტანა, ჩვენ შევეცადეთ არ გვენერვიულა და კიდევ უფრო მეტი მონდომებით შეგვეტია. ანგარიში მალევე რომ გავათანაბრეთ, ამაში იღბალი დაგეხმარა. წინ რომ წავედი, ვიცოდი უკნიდან ბიჭები დამაზღვევდნენ".

მარჩელო ლიპიმ განაცხადა, რომ მისი სურვილი იყო „სკუადრა აძურას" იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ჟინი შერეოდა, დე როსი კი ამაზე ასე ამბობს:

„ჩვენ, ახალგაზრდებმა დღეს დიდი მონდომებით ვითამაშეთ, თუმცა, როდესაც ძირითად შემადგენლობაში დიდი ვარსკვლავები დაბრუნდებიან, გუნდი გაძლიერდება. დიახ, ჩემი თამაში მახარებს, მაგრამ სრულად წარმომიდგენია, რომ შემდეგ შეხვედრაში, მოლდოვასთან შეიძლება შემადგენლობაში ვერ მოვხვდე და ამისგან ტრაგედიას ნამდვილად არ შევქმნი".

ხოლო იტალიელების მეორე გოლი, როგორც მოგახსენეთ, 79-ე წუთზე „პალერმოს" თავდამსხმელმა ლუკა ტონიმ გაიტანა, რომელმაც 72-ეზე დალლილი ფაბრიციო მიკოლი შეცვალა და იმწუთასვე ჩაერთო სკანდინავიელების კართან მიმდინარე პროცესებში. 79-ზე კი ჯანლუკა ძამბროტას დაბალი პასით ტონიმ ნორვეგიელების მეკარესთან შეაღწია და ბურთი ფეხებს შორის გაუძვრინა.

„ოცნება ამიხდა, პირველსავე სანაკრებო შეხვედრაში გოლი გავიტანე. ამაზე მეტს საკუთარ თავს ვერც მოვთხოვდი, ქომაგებმაც ძალიან მხურვალედ დამიჭირეს მხარი — თქვა პალერმოს მოედანზე მოთამაშე პალერმოელმა და დასძინა — დავინახე, რომ ჩემსკენ დიდებულად გადმოწოდებული პასი მოდიოდა და ბურთისთვის ფეხის მსუბუქი შეხებაღა მომეთხოვებოდა".

პაპუნა კედია

სლოვენია	1	1	0	0	3:0	3
იტალია	1	1	0	0	2:1	3
შოტლანდია	0	0	0	0	0:0	0
ბელარუსი	0	0	0	0	0:0	0
ნორვეგია	1	0	0	1	1:2	0
მოლდოვა	1	0	0	1	0:3	0

ჭეიმსს ჩამოეკითა

VI ჯგუფი

ავსტრია 2:2 ინგლისი

0:1 ლამპარდი (24), 0:2 ჯერარდი (64), 1:2 კოლმანი (71), 2:2 ივანშიტცი (73)

ავსტრია: მენინგერი, შტანდფესტი, შტრანცი, ჰიდენი, პოგატეტცი, ზიკი, კუემბაუერი, აუფჰაუზერი (კისენებნერი 74), ივანშიტცი, გლიდერი (კოლმანი 68), ჰაასი (ჰაიბლინგერი 89)

ინგლისი: ჯეიმსი, გ. ნევილი, ტერი, კინგი, ე. კოული, ბექემი, ჯერარდი (კარაგერი 83), ლამპარდი, ბრიჯი (ჯ. კოული 84), სმიტი (დეფო 76), ოუენი

ჩრდ. ირლანდია 0:3 პოლონეთი

0:1 ჟურავსკი (4), 0:2 ვლოდარჩიკი (37), 3:0 კრჟინოვეკი (57)

გაძევება: ვლოდარჩიკი (პოლონეთი, 79)

აზერბაიჯანი 1:1 უელსი

0:1 სპიდი (48), 1:1 სადუგოვი (56)

ავსტრიის ნაკრებმა ქულა გამოგლიჯა ინგლისის ნაკრებს „ერნსტ ჰაპელის" სტადიონზე. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ინგლისელები კომფორტულად, ორი ბურთით უგებდნენ მასპინძლებს.

ანგარიში ფრენკ ლამპარდმა გახსნა იმ ჯარიმის შემდეგ, რომელიც ავსტრიელთა მეკარის ალექს მანინგერის გაუფრთხილებლობას მოჰყვა: ამან ხელში აიღო უკან დაბრუნებული ბურთი და ინგლისელებმა საზრიანად გაითამაშეს თავისუფალი საჯარიმო მოედანში. მეორე ტაიმში სტივენ ჯერარდმა, რომელმაც ტრავმის მიუხედავად მაინც მოახერხა თამაში, ღონიერი დარტყმით გაზარდა ანგარიში.

პირველ ტაიმშივე ავსტრიელებს ბედმა გაუღიმათ, რომ მათი მეკარე მოედნიდან არ გააძევეს, მან ხელით ააცალა ბურთი ფეხიდან საჯარიმოს გარეთ მყოფ მაიკლ ოუენს. მეორე ტაიმის დასაწყისში გოლი ალან სმიტსაც უნდა გაეტანა და ჯონ ტერისაც. მოკლედ, სანამდეც გასწია, ინგლისმა დაჯაბნა ავსტრია და ეს ანგარიშშიც გამოიხატა.

იმ დღის მთავარი დამნაშავე კი ინგლისელთა მეკარე ჯეიმსი გამოდგა. ავსტრიელებმა ერთი ბურთი 71-ე წუთზე რონალდ კოლმანის ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით გაქვითეს, თუმცა, თამაშის იერი იმგვარი იყო, რომ ინგლისელებს სადავე ხელიდან არ უნდა გაეშვათ. ჯეიმსის კართან კოშმარი ამ გოლიდან 2 წუთის თავზე დატრიალდა. ანდრეას ივანშიტცმა საჯარიმოს გარედან, ძალიან ჩვეულებრივად დაარტყა და ხიფათიც არაფერი იქნებოდა, ჯეიმსს რომ ამ ბურთზე არ დაეყვინთა და ლამის თავისით არ შეეტანა კარში. ავსტრიელთა სიხარულის ჩაშოშმინებას გვარიანი დრო დასჭირდა, ანგარიში კი აღარ შეცვლილა.

თამაშის შემდეგ სვენ გორან ერიკსონმა თავისი მეკარე დაიცვა, ყველას ემართებაო. ჯეიმსმა კი დანაშაული აღიარა, შემეშალა, თუმცა, ამისთვის თავს ვერ ჩამოვიხრჩობ, ბურთი ვილაცას მოხვდა, ოდნავ შეიცვალა მიმართულება და ჩემი შეცდომაც ამის ბრალი იყოო.

ირაკლი გამყრელიძე

პოლონეთი	1	1	0	0	3:0	3
ავსტრია	1	0	1	0	2:2	1
ინგლისი	1	0	1	0	2:2	1
აზერბაიჯანი	1	0	1	0	1:1	1
უელსი	1	0	1	0	1:1	1
ჩრდ. ირლანდია	1	0	0	1	0:3	0



დეივიდ ჯეიმსმა შეცდომა აღიარა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

ბოლოდნელი და ბოსალოდნელი

ლიტველთა კართან ბელგიელებმა ცეცხლი დაანთეს

VII ჯგუფი

ბელგია 1:1 ლიტვა

1:0 სონკი (61), 1:1 იანკაუსკასი (72)

სან მარინო 0:3 სერბეთი და ჩერნიგორია

0:1 ვუკიჩი (4), 0:2, 0:3 იესტროვიჩი (15, 82)

სერბები სან მარინოში რომ მოიგებდნენ, ვფიქრობთ, ეჭვის არავის ეპარებოდა და საკითხავი ოდენ ანგარიში იყო. სტუმრებმა სამი გოლი გაიტანეს, თუმც მეტის გატანაც შეეძლოთ, რომ არა სანმარინოელი მეკარის ყოჩაღობა. მეორე მხრივ, ისიც შესაძლებელი იყო, სერბებს ნაკლები სხვაობით მოეგოთ, რაკი ალესანდრო დელა ვალემ ერთხელ ბურთი ხარიხას გაარტყა, იქამდე კი მარკო დომენიკოს დარტყმაც დრაგოსლავ იეკრიჩმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა.

სტუმართაგან კი ორი გოლი ნენად იესტროვიჩმა შეაგდო — ჯერ ოგნუნ კორომანის ჩაწოდებულს დაუხვედრა თავი, მერე კი მლადენ კრშტიჩის საჯარიმოდან დარტყმულს დაუმატა. იესტროვიჩის გოლები მეორე და მესამე იყო, ანგარიში კი ზვონიმირ ვუკიჩმა გახსნა თამაშის დაწყებისთანავე — მცველთაგან ასხლეტილ ბურთს დაამატა.

თუკი ამ მატჩში ასეთი ანგარიში მოსალოდნელი იყო, ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ ბელგიის ნაკრებს შინ ლიტველთა დამარცხება გაუჭირდებოდა.

მთელი პირველი ტაიმი მასპინძელთა კარნახით მიდიოდა, მათი შეტევების ორგანიზატორი კი კაპიტანი ბარტ გოორი გახლდათ. მაგრამ შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა, მეორე ტაიმში კი უესლი სონკმა, როგორც იქნა, გაიტანა და ბელგიელთა გამარჯვებას თითქოს წინ აღარაფერი უნდა დადგომოდა — სონკმა დიდებულად შესრულებული საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში.

მაგრამ 11 წუთში ბელგიელების განკითხვის დრო დადგა. ედგარას იანკაუსკასმა გაათანაბრა და მასპინძლებს ცივი წყალი გადაავლო.

						კოტე	კეკელია
სერბ. და ჩერნ.	1	1	0	0	3:0	3	
ბელგია	1	0	1	0	1:1	1	
ლიტვა	1	0	1	0	1:1	1	
ბოსნია	0	0	0	0	0:0	0	
ესპანეთი	0	0	0	0	0:0	0	
სან მარინო	1	0	0	1	0:3	0	

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

ხუან პაბლო სორინის ტანგო

პერუ 1:3 არგენტინა

0:1 როსალესი (14), 1:1 სოტო (62), 1:2 კოლოჩინი (66), 1:3 სორინი (90)

პერუ: იბანესი, გ. სალასი, აკასიეტე, გალიჩუო, ვილსეტი, იაო, სოლანო, პალასიოსი (ოლკესე 76), სოტო (გარსია 77), მენდოსა, ფარფანი

არგენტინა: აბონდანსიერი, კოლოჩინი, პაინცე, მილიტო, ხ. ძანეტი, მასკერანო, დალესანდრო (მილიტო 64), კ. გონსალესი, დელგადო (სორინი 70), ტევესი (ზედინა 83), მაურო

ერთი კვირის თავზე

ერთი კვირის წინ არგენტინის ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ახლა კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ლიმაში პერუელები დასცა — 3:1.

ამ შეხვედრაში ორი გოლი ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, მაურო როსალესმა და ფაბრიციო კოლოჩინიმ გაიტანეს, არგენტინელთა მესამე გოლის ავტორი კი ხუან პაბლო სორინი გახლავთ.

მაშინ, როცა არგენტინა ორი ბურთის სხვაობით იგებდა, პერუელმა ხორხე როტომ ერთი ბურთი კი გაქვითა, მაგრამ პერუს ნაკრები არგენტინასთან ზედიზედ მესამე მარცხისგან ვერ იხსნა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მთელი მეორე ტაიმი გუნდებმა ათ-ათი ფეხბურთელით ითამაშეს, რაკი პირველი ტაიმის დამატებულ წუთებში ფლავიო მაესტრომ და კრისტიან გონსალესმა ერთმანეთს დასცხეს და მსაჯმა ორივე გააძევა. ისე კი, ჩხუბში ორივე ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელი ჩაება. გაძევების მომენტში მაესტრო ოდენ 18 წუთის შესული იყო მოედანზე, რაკი ტრავმირებული მენდოსა შეცვალა.

ამ მარცხით პერუს ნაკრებს კიდევ უფრო გაურთულდა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა, არადა, პერუელები მუნდიალზე 1982 წლის მერე არ ყოფილან.

არგენტინას სასტარტო შემადგენლობაში რვა ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავდა და გვარიანი საფიქრალიც შეუქმნა მასპინძლებს. ისიც ვთქვათ, რომ მაურო როსალესისთვის ეს გოლი პირველი იყო სანაკრებო კარიერაში. მეორე გოლის ავტორი კოლოჩინი კი ერთ ეპიზოდში სასწაულით გადაურჩა წითელ ბარათს, რასაც აშკარად იმსახურებდა, მაგრამ ბრაზილიელმა არბიტრმა, კარლოს ეუჟენიო სიმონმა აშკარდა დაინდო და ყვითელი ბარათი აკმარა.

						კოტე	კეკელია
არგენტინა	8	4	3	1	14:7	15	
ბრაზილია	7	3	4	0	11:7	13	
ჩილე	7	3	2	2	9:7	11	
პარაგვაი	7	3	2	2	9:8	11	
ეკვადორი	7	3	1	3	8:7	10	
ვენესუელა	7	3	1	3	6:7	10	
პერუ	8	2	3	3	10:10	9	
კოლუმბია	7	2	1	4	10:10	7	
ურუგვაი	7	2	1	4	12:19	7	
ბოლივია	7	2	0	5	9:16	6	

ზლატანმა მალტას პოკერი გაუშალა

ხრისტო სტოიჩკოვის ბულგარეთმა რეიკიავიკიდან სამი ქულა წაიღო

ზლატან იბრაჰიმოვიჩი მალტელებს ოთხი გოლით გაუმასპინძლდა

VIII ჯგუფი

ისლანდია 1:3 ბულგარეთი

0:1, 0:2 ბერბატოვი (35, 49), 0:3 ვანევი (62), 1:3 გუნარსონი (83)

ხორვატია 3:0 უნგრეთი

1:0 პრსო (32), 2:0 პლასნიჩი (52), 3:0 გუშესი (80ს.ჯ.)

გაძევება: ჰუტი (უნგრეთი, 11)

მალტა 0:7 შვედეთი

0:1, 0:2, 0:3 იბრაჰიმოვიჩი (4, 11, 14), 0:4 ლიუნგბერგი (46), 0:5 იბრაჰიმოვიჩი (71), 0:6 ლიუნგბერგი (74), 0:7 ლარსონი (76)

მე-8 ჯგუფში შვედები მალტელებს რომ მოუგებდნენ, არ გვგონია, თქვენთვის მოულოდნელი შედეგი იყოს. იგივე უნდა ვთქვათ ხორვატია — უნგრეთის მატჩზე, ერთადერთი, ვინძლო ბულგარელთა უპირობო ზეიმს არ ელოდა ბევრი გულშემატკივარი რეიკიავიკში, მაგრამ სენსაციად ვერც ამ შედეგს მოვნათლავთ. ხოლო ის გარემოება, რომ ისლანდიელებს ბრაინარ გუნარნი გაუგდეს, ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ეს ამბავი მატჩის მიწურულს, 87-ე წუთზე მოხდა.

სამაგიეროდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უნგრელი მცველის, ჰუტის გაძევება გვარიანად წაეხმარა ხორვატებს სამი უპასუხო გოლის გატანაში, ვინაიდან უნგრელები კაცნაკლულნი მე-11 წუთზე დარჩნენ. ადრიანად გაგდებას კი სავსებით სამართლიანი საფუძველიც ჰქონდა — უნგრელი მეტისმეტად უხეშად მოექცა მეტოქეს.

შვედთაგან მალტელთა ძლევაში კი გამოსარჩევი ამბავი ყოფილი აიაქსელის, ამჟამინდელი იუვენტუსელის, ზლატან იბრაჰიმოვიჩის ოთხი გოლია. ისიც სათქმელია, რომ იბრაჰიმოვიჩს მე-14 წუთისთვის ჰეთრიქი ჰქონდა შესრულებული, მეოთხე კი მეორე ტაიმში გაიტანა.

ორი გოლი შეაგდო არსენალელმა ფრედი ლიუნგბერგმა და ერთიც ჰენრიკ ლარსონმა, ვისაც მეორე გოლის გატანაც მართებდა, მაგრამ დამატებულ დროში პენალტი გააცუდა.

						ირაკლი	ნინიძე
შვედეთი	1	1	0	0	7:0	3	
ხორვატია	1	1	0	0	3:0	3	
ბულგარეთი	1	1	0	0	3:1	3	
ისლანდია	1	0	0	1	1:3	0	
უნგრეთი	1	0	0	1	0:3	0	
მალტა	1	0	0	1	0:7	0	

იფიქრე ბოძო

გაუფრთხილდით კასანოს და არ გაიქცევა

ევრო 2004-მა ისედაც პოპულარული და დაფასებული ანტონიო კასანო კიდევ უფრო პოპულარული გახადა, მაგრამ გაისად მის გამო შეიძლება ისეთი ამბავი ატყდეს, თქვენი მოწონებული.

კასანო, მოგეხსენებათ, „რომაში" თამაშობს. მისი კონტრაქტი იტალიის დედაქალაქის გუნდთან 2006 წლამდეა, ხოლო 2001-ში „რომამ" მაშინ 18 წლის თავდამსხმელში „ბარის" 3,6 მილიონი დოლარი გადაუხადა. ერთი სიტყვით, თუ რომაელები მასთან ახალ ხელშეკრულებას არ გააფორმებენ, იძულებულნი გახდებიან, ამ ერთი სეზონის შემდეგ, ანუ 2005 წლის ზაფხულში იგი გაყიდონ, თორემ კონტრაქტის ამოწურვამდე რომ დაიცადონ, მერე თავდამსხმელი შეიძლება თავისუფალი აგენტის სტატუსით წავიდეს კლუბიდან.

რამდენადაც ცნობილია, კასანოს გადაბირებით ყველაზე მეტად „მილანი" და „რეალი" არიან დაინტერესებულნი. მათ ოფიციალური წერილითაც კი მიუმართავთ „რომასთვის".

ახლა „ჯალოროსი" ფინანსური პრობლემების გადაწყვეტით არის დაკავებული. გარდა ამისა, კლუბმა თანამდებობიდან მოულოდნელად წასული მწვრთნელის, ჩეზარე პრანდელის ნაცვლად მხოლოდ ერთი სეზონით გერმანელი რუდი ფიოლერი მიიყვანა და ყველაფერი ეს ერთად რომ ავწონ-დავწონოთ, გაუგებრობებთან და ცუდ პერიოდთან ბრძოლის ნათელ სურათს მივიღებთ. თუ ეს ყველა პრობლემა მოგვარდება, სავარაუდოდ, მოგვარდება კასანოს ამბავიც. სხვათა შორის, ამბობენ, რომ „რომას" პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ უკვე დაიწყო წინასწარი მოლაპარაკებები ფეხბურთელის აგენტ ბოძოსთან და მას კასანოსთვის 2011 წლამდე კონტრაქტზე ფიქრი შესთავაზა.

და ამასობაში „რომას" კიდევ ერთი ვარსკვლავის, ფრანჩესკო ტოტის ქება მოულოდნელად ფრანც ბეკენბაუერმა დაიწყო. მოგეხსენებათ, გერმანული ფეხბურთის ლეგენდა, ბეკენბაუერი მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტია.

„იტალიაში ბევრი ვარსკვლავია — თქვა ბეკენბაუერმა — მაგრამ მათგან „ბაიერნისთვის" მხოლოდ ერთს, ფრანჩესკო ტოტის ვისურვებდი. მე მას ძალიან კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ „ოქროს ბურთს" იმსახურებს".

შემდეგ „კაიზერ ფრანცს" „რომას" ახალი მწვრთნელის შესახებ ჰკითხეს. მან უპასუხა: „ფიოლერი ჩინებული არჩევანია. ის ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო, დღეს კი ბრწყინვალე ადამიანი და მწვრთნელია".

პაპუნა კედია

ტერი ვენეიბლზი ნიუკასლს მიუძღვება

შაბათს ლონდონს ჩავიდა „ნიუკასლის" თავმჯდომარე ფრედი შეპარდი და იქ ტერი ვენეიბლზს შეხვდა. ორთა მოლაპარაკებები ამ კვირაშიც გაგრძელდება და ამბობენ, რომ სწორედ ვენეიბლზი შეიქნება „ნიუკასლის" ახალი მენეჯერი.

„არ მგონია, რომ ამ ქვეყანაში „ნიუკასლზე" დიდი კლუბი არსებობდეს" — თქვა ვენეიბლზმა, რომელიც უმუშევარია მას შემდეგ, რაც შარშან „ლიდსი" დატოვა. „ეს საუცხოო შესაძლებლობაა. ძალიან შემიტყუა ამ შემოთავაზებამ. ფრედი საღად მოაზროვნე კაცია და კარგი ლაპარაკიც გამოგვივიდა".

გასულ კვირაში შეპარდმა უარყო ვენეიბლზთან მოლაპარაკებები, პრემიერლიგის სხვა გუნდიდან უნდა მოვიწვიო მწვრთნელიო. ლაპარაკობდნენ სტივ ბრიუსზე, სემ ალარდაისზე და დევიდ ოლირიზე, თუმცა, კვირის ბოლოს, ერთადერთ კანდიდატად ამით აშკარად კმაყოფილი ვენეიბლზი დარჩა.

„ჩვენი საუბრები იმ კვირაშიც გაგრძელდება — თქვა ვენეიბლზმა — სერ ბობის შეცვლა ძალიან ძნელია, მაგრამ დიდი კლუბის მესაჭეობა ძალიან სასიამოვნო რამაა".

თუმცა, ვენეიბლზი ექიმებსაც უნდა დაეკითხოს რჩევას, რადგან დიდი ხანია სტანჯავს ბარძაყის ტკივილები და საოპერაციოცაა. ამიტომ არ იცის, როგორ უჯობს, დაიწყოს სამსახური და მერელა დაწვეს ქირურგის მაგიდაზე თუ ჯერ ოპერაცია გაიკეთოს.

მისი აზრით, საუკეთესო ის იქნებოდა, რომ მენეჯერობის ეჟვანი ალან შირერისთვის შეებათ, თუმცა, „ნიუკასლის" კაპიტანმა იუარა: „მე ავუხსენი თავმჯდომარეს, რომ ამ საქმისთვის ახალგაზრდა ვარ. დიდი კლუბის სამართავად სხვა გამოცდილებაც მჭირდება. ერთ მშვენიერ დღეს მწვრთნელი გავხდები და თუ „ნიუკასლში" დამნიშნავენ დიდებული იქნება. თუმცა, იქამდე შორი გზაა".

თავად შეპარდი კი ამბობს, რომ მენეჯერის არჩევისას არ იჩქარებს.

„ვიცი, რომ ფანები ღელავენ — აცხადებს ის — მაგრამ ამ საქმეში სიჩქარე არ ივარგებს. მთავარი სწორი არჩევანია".

ირაკლი გამყრელიძე



რომა და ორი კოჭი

ტოტი კიშინიოვს ვერ ნახავს

ფრანჩესკო ტოტიმ შესაძლოა ოთხშაბათს მოლდოვაში ვერ ითამაშოს — კოჭი სტკივა. გეხსომებათ, ევრო 2004-ზე მოწინააღმდეგის ფურთხებისთვის მიღებული დისკვალიფიკაცია „რომას" კაპიტანს შაბათს ნორვეგიასთან შესარჩევი მატჩის გამოტოვებადაც დაუჯდა — სამი მატჩით უქმობა ჰქონდა მისჯილი, რომელთაგან ორი ევროპის ჩემპიონატზეევ გამოტოვა — მაგრამ ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ იგი ვერც ყოფილ საბჭოეთში გაისეირნებს. ტოტიმ კოჭი „ლოდიჯიანისთან" ამხანაგური შეხვედრის დროს იტკინა და მიუხედავად იმისა, რომ ყინულის პაკეტები თუ სხვა საშუალელები არ მოაკლეს, „სკუადრა აძურას" ექიმები ამბობენ, რომ მისი კიშინიოვში წაყვანა-არწაყვანის ამბავი ჯერ დასაფიქრებელია.

სხვათა შორის, „რომას" ფეხბურთელთაგან კიდევ ერთს, ევროპის ჩემპიონ ტრაიანოს დელასს დაუშავდა კოჭი. ეს საბერძნეთის და ალბანეთის ნაკრებების შეხვედრაში მოხდა. არადა, რომაელებს ერთ კვირაში იტალიის პირველობაზე „ფიორენტინასთან" მატჩი ელით. დელასს ამ შეხვედრაში უნდა ეთამაშა, მაგრამ ახლა შეიძლება დაშავებულ მატეო ფერარის, ფილიპ მექსეშის და კრისტიან კივუს სიას შეუერთდეს.

პაპუნა კედია

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

უეინ რუნის მანჩესტერული კარიერა ჯერ სულ 10 დღისაა, მაგრამ ბიჭს ფიქრებში ცალი ხელი უკვე ჩემპიონთა თასზე აქვს შემოდებული. ნუ, ალარაფერს ვამბობთ ისეთ ჯილდოებზე, როგორებიც არის ინგლისის ჩემპიონობა, ინგლისისავე ფეხბურთის ასოციაციის თასი, ლიგის თასი და თუ რამეა კიდევ, ისიც. მაგრამ 18 წლის ვარსკვლავს უთხრეს: სანამ არ მოიგებ, შენი არც ერთი თასი არ არის!



რუნი გასახდელიდან
ჯერ მოიგე და მერე იტრაბახე



„როდესაც დიდ კლუბში, განსაკუთრებით კი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადადიხარ და დიდების დარბაზს ათვალიერებ, შენი თვალით ხედავ, რამდენი რამ აქვს ამ ხალხს მოგებული. და ამდენი ჯილდოს ნახვა ამბიციებს მხოლოდ გიზრდის. უკვე გინდა გახვიდე და შენ თვითონ მოიგო“ — თქვა ყოფილმა ევერტონელმა.

ხოლო ის, რაც ზემოთ ვთქვით, „იუნაიტედის“ მწვრთნელის, ალექს ფერგიუსონის სიტყვები ყოფილა. აი, როგორ ყვება რუნი:

„აქ მენეჯერს ასეთი დევიზი აქვს: სანამ არ მოიგებ, შენი არც ერთი თასი არ არის. მას წაიღებს ის გუნდი, რომელიც გაიმარჯვებს. ახლა მე „იუნაიტედის“ გასახდელში აქეთ-იქით ვიყურები და ვხედავ ძალიან ბევრ ისეთ ფეხბურთელს, რომელსაც დიდი ჯილდოები მოუგია. ვუყურებ და მგონია, რომ მეც შემიძლია მათი გუნდის წევრი გავხდე. დაუჯერებელია, მაგრამ ახლა მართლა გამიჩნდა შანსი რომელიმე ჯილდოს ხელი მოვკიდო“.

შემდეგ რუნი განაგრძობს:

„ჩემი ტრანსფერის ამბავი ძალიან სწრაფად მოხდა. ორ-სამ დღეში ჩემი სამყარო ყირაზე დადგა. ჯერ გაწამაწიაში ვარ, აი, მერე, მშვიდად რომ დავჯდები, შეიძლება მართლა დავითრგუნო, რადგან ისეთი დიდი კლუბის წევრი ვარ, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედია“. ბოლო ორი წელიწადი ხომ ჯოჯოხეთად მექცა, ჯერ „ევერტონი“, შემდეგ ნაკრები და ახლა „მანჩესტერ იუნაიტედი“.

მე „ევერტონის“ ფანი ვარ და ჩემს საოცნებო გუნდში ვთამაშობდი, მაგრამ „იუნაიტედი“ მსოფლიოს უდიდესი კლუბია. ძნელი იყო გადაწყვეტილების მიღება, ჩემს აგენტს, პოლ სტრეტფორდს ველაპარაკე და სიტუაცია ავუხსენი. ორშაბათს დამირეკა და მითხრა, რომ ყველაფერი თითქმის მოგვარებული იყო. ავდელდი, ისე ავირიე, დაძინება მინდოდა, მაგრამ დილის ხუთ საათზე წამოვვარდი.

ცხადი იყო მომენტები, როდესაც ეჭვი მეპარებოდა და ვფიქრობდი, რამდენად კარგი იყო ყველაფერი ასე სწრაფად რომ ხდებოდა. მგონი, „ევერტონს“ ცოტა ვაწყენინე კიდეც, ჩემი გაშვება არც უნდოდათ, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა და ახლა თავს ბედნიერად ვგრძნობ.

ისიც ვიცი, რომ „ევერტონის“ ფანებს არ ესიამოვნებოდათ ჩემი წასვლა, თუმცა მინდა ვთქვა, რომ „ევერტონიდან“ მხოლოდ სამი გუნდის გამო თუ წავიდოდი და ასეც ვქენი. მგონი, „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასასვლელად სწორი დრო შევარჩიე. მწამს, „ევერტონის“ ფანები ერთ მშვენიერ დღეს გამიგებენ და ჩემს მოტივს მიხვდებიან.

რა თქმა უნდა, რამდენიმე ფანმა რაც მოხდა, ვერ მიიღო, მათ ცუდი რეაქცია ჰქონდათ, მაგრამ ამან ჩემი „მანჩესტერში“ გადასვლა ვერ გააფუჭა.

...მანჩესტერში პირველი დღე მეუცნაურა, პირველი ვინც ვნახე, სქოულზი იყო, რაც ძალიან გამიხარდა, რადგან მას ნაკრებიდან ვიცნობ. შემდეგ ვნახე რიო ფერდინანდი, გიგზი, რუუდი... მსოფლიო კლასის ფეხბურთელთა მთელი ჯგუფი. გასახდელში უნდა გენახათ რა ხდებოდა. უცხოელ და ინგლისელ ბიჭებს ერთმანეთი მონატრებოდათ და იყო ერთი სიცილ-ხარხარი. აქ ბიჭები ერთმანეთთან ძალიან ახლოს არიან.

პირველ დღეს, ვარჯიშზე, მათაც შემხედეს და მეც ვნახე ვისთან მოვედი. მერე კი ცოტა ვირბინე, ახლა ფიზმომზადების ინდივიდუალური გეგმა შემიმუშავეს, დანარჩენი კი უახლოეს დღეებში იქნება.

ფეხებში ისევ ბურთს რომ გრძნობ, დიდებულია“.

პაპუნა კედია



2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მრაპი. ოკეანეთი

A ჯგუფი

აშშ 2:1 სალვადორი
იამაიკა 1:2 პანამა

აშშ	2	1	1	0	3:1	4
სალვადორი	2	1	0	1	2:3	3
პანამა	2	1	0	1	3:3	3
იამაიკა	2	0	1	1	2:3	1

B ჯგუფი

კანადა 1:1 ჰონდურასი

ჰონდურასი	2	1	1	0	6:3	4
გვატემალა	1	1	0	0	2:0	3
კანადა	2	0	1	1	1:3	1
კოსტა რიკა	1	0	0	1	2:5	0

C ჯგუფი

სენტ კიტსი და ნევისი 1:2 ტრინიდადი და ტობაგო

ტრინ. და ტობ.	2	2	0	0	4:1	6
მექსიკა	0	0	0	0	0:0	0
ს. კიტსი და ნევ.	1	0	0	1	1:2	0
სენტ ვინსენტი	1	0	0	1	0:2	0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მრაპი. აფრიკა

I ჯგუფი

ზამბია 1:0 ლიბერია

1:0 კალუჟა ბვალია (89)

ზამბია	4	2	1	1	3:2	7
კონგო	3	2	0	1	4:2	6
სენეგალი	3	2	0	1	4:3	6
ტოგო	3	1	1	1	3:2	4
ლიბერია	4	1	1	2	1:4	4
მალი	3	0	1	2	1:3	1

II ჯგუფი

ბურკინა ფასო 2:0 უგანდა

1:0 დაგანო (34), 2:0 ნიკერნა (79)

ბურკინა ფასო	4	2	0	2	5:5	6
სამხრეთ აფრიკა	3	2	0	0	4:4	6
განა	3	1	1	1	4:2	4
დ.რ. კონგო	3	1	1	1	4:6	4
კაბო ვერდი	3	1	1	1	3:3	4
უგანდა	3	1	1	1	2:4	4

III ჯგუფი

ლიბია 4:1 बენინი

1:0 შიბანი (9), 1:1 ოსენი (14), 2:1 კარა (47), 3:1 ოსმანი (49), 4:1 სულიმანი (69)

კამერუნი	3	2	1	0	4:1	7
ლიბია	4	2	1	1	5:3	7
კოტ დიუვარი	3	2	0	1	4:3	6
ეგვიპტე	3	1	1	1	7:5	4
ბენინი	4	0	2	2	6:10	2
სუდანი	3	0	1	2	1:5	1

V ჯგუფი

კენია 3:2 მალავი

1:0, ბარაზა (22), 2:0 ოლიეხი (26), 3:0 ბარაზა (31), 3:1 მხანდავირე (43), 3:2 მუნტალი (89 პენ.)

მაროკო 1:1 ტუნისი

0:1 დოს სანტოსი (13), 1:1 კარკოური (89)

მაროკო	3	1	2	0	3:2	5
ტუნისი	3	1	1	1	6:4	4
გვინია	2	1	1	0	3:2	4
კენია	1	1	0	0	3:2	3
ბოტსვანა	3	1	0	2	3:5	3
მალავი	4	0	2	2	4:7	2

ნიდერლანდი

I დივიზიონი

მე-5 ტური: ერდრი — ქუინი 0:1; კლაიდი — სტ. მირენი 0:0; პარტიკი — ფოლკირკი 1:4; რეით როვერსი — როსი 1:2; ჰამილტონი — სტ. ჯონსტონი 1:1

II დივიზიონი

მე-5 ტური: ალოა — ეარი 1:3; ბერიკი — დამბარტონი 0:4; ფორფარი — სტირლინგი 0:2; მორტონი — არბროთი 2:1; სტრანრარი — ბრეჩინი 4:2

III დივიზიონი

მე-5 ტური: ისტ სტირლინგი — ელგინი 0:1; გრეტნა — კოუდენბითი 2:1; მონტროუზი — ალბიონი 1:1; პიტერჰედი — ისტ ფაიფი 2:0; სტენპ აუზმური — ქუინზ პარკი 1:1

აშშ

MLS

ნიუ ინგლენდი — სან ხოსე 0:1; კოლუმბუსი — ლოს ანჯელესი 3:1; ჩიკაგო — დისი იუნაიტედი 3:1; კანზასი — მეტროსტარზი 1:0; კოლორადო — დალასი 2:1

ინგლისი

I ლიგა

მე-7 ტური: ბრეიფორდი — პორტსმული 0:2, ბრისტოლი — პორტმუთი 2:1; ჩესტერფილდი — დონსი 2:2; კოლჩესტერი — სუინდონი 0:1; დონკასტერი — უოლსოლი 3:1; პარტლპული — ბარნსლი 1:1; პიტერბრო — ბრისტოლი 0:1; უენსდი — ლუტონი 0:0; სტოკპორტი — ტორკი 0:2; ჰადერსფილდი — ჰალი 4:0; *ბლეკპული — ვრექსემი გადაიდო*

II ლიგა

მე-7 ტური: ბოსტონი — კემბრიჯი 2:1; როვერსი — შრიუსბერი 0:0; ბერი — ლინკოლნი 0:1; ჩესტერი — მაკლსფილდი 1:0; დარლინგტონი — სკანთორპი 0:0; გრიმსბი — როჩდეილი 0:1; კიდერმინსტერი — ლეიტონი 1:2; ნოტსი — ჩელტენემი 0:0; რაშდენი — საუთენდი 1:4; იოვილი — სუონსი 1:0; მანსფილდი — ნორთჰემპტონი 4:1

კონფერენსი

მე-6 ტური: კარლაილი — ბარტონი 0:0; აკრინგტონი — უოკინგი 0:0; ალდერშოტი — ნორთვიჩი 2:1; ბარნეტი — მორიკომბი 5:1; დაგ ენდ რედი — იორკი 0:3; ექსეტერი — ქროული 3:2; გრეივსენდი — სტივენეიჯი 2:1; ჰერეფორდი — ჰალიფაქსი 2:3; ლეი — ფორესტ გრინი 2:0; სკარბორო — კონვი 1:1; ტემუორთი — ფარნბორო 0:2

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-7 ტური: კიოლნი (მ) — დორტმუნდი (მ) 5:3; ჰერტა (მ) — ქემნიცი 2:1; კილი — ფორტუნა 2:1; ურდინგენი — ვერდერი (მ) 2:1; ვოლფსუბრგი (მ) — მიუნსტერი 1:1; ვუპერტალი — ლიუბეკი 1:1; ჰამბურგი (მ) — პადერბორნი 0:1

სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-5 ტური: მიუნხენი (მ) — ჰოფენჰაიმი 2:0; აუგსბურგი — დარმშტადტი 1:1; ფოიხტი — რეგენსბურგი 1:2; კობლენცი — ბაიერნი (მ) 2:0; მაინცი (მ) — ფუულენდორფი 3:1. კიკერსი — ნოტინგენი 3:1; ვეჰენი — ზიგენი 1:1

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი

მე-2 ტური: სელტა — ტარაგონა 1:0; ელჩე — სიუდადი 3:1; ვალიადოლიდი — ტენერიფე 2:1

უკვეიცარია

ჩელენჯლიგა

მე-6 ტური: ვილი — ივერდონი 0:2; სიონი — კონკორდია 3:0

დანია

I დივიზიონი

მე-16 ტური: ბ 93 — ფრედერისია 1:1; ნიკიობინგი — ვეილე 6:2; იოლსტიკე — ნესტვედი 2:0; ჰორსენსი — ჰელერუპი 2:1; კიოგე — სიონდერიისკე 1:1

უკედეთი

სუპერლიგა

23-ე ტური: ასირისკა — ბოდენსი 0:0; ბრომაპოიკარნა — გაის 2:3; ფალკენბერგი — ფრიოლუნდა 1:2; ფრისკა — ბრაგე 0:1; ჰაკენი — ყასტერასი *გადაიდო*

ნორვეგია

I დივიზიონი

21-ე ტური: ბრინი — მოსი 4:2; მანდალი — სკეიდი 1:1; ჰორს გრენლანდი — სტრომსგოდსეტი 4:3; რაუფოსი — კონგსვინგერი 3:4; ტრომსდალენი — ალესუნდი 3:1; ჰაუგესუნდი — ჰონეფოსი 1:3

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XXII ტური

ალიანსი 0:0 კტპ

ირლანდია

პრემიერდივიზიონი. XXV ტური

ლონგფორდი 3:0 დერი სიტი

შემონდ უილიამსი: მე ოლიმპიადას ვუმიზნებ

ერიკ უილიამსი: ხმას ვაძლევ ჯიმ კერის

შაბათს, დღის 5 საათზე, თბილისში საქართველოს ეროვნული ნაკრების ამერიკელი წევრი შემონდ უილიამსი ჩამოვიდა ძმა ერიკთან ერთად და ვეძისის მთის ძირას, სასტუმრო „სიმპათიაში“ დაბინავდა. ამით საქართველოს ნაკრები სრულად შეივსო, რაკი იმავე დღეს თბილისში სლოვენიიდან ვლადიმერ ბოისა და მანუჩარ მარკოიშვილი ჩამოფრინდნენ, ხოლო ვლადიმერ სტეფანია რომ ფინეთთან მატჩისთვის საქართველოში ჩამომსვლელი არაა, ყველა კარგად ხვდება.

შემონდ უილიამსი სპორტის სასახლეში

უილიამსი სასტუმროში ჯერ რიგიანად არ მოწყობილიყო, რომ ნაკრების ვარჯიშზე ზუსტად დათქმულ დროს, 8 საათზე გამოცხადდა. ამერიკელი, ცხადია, მოქანცული იყო მგზავრობით, მან ხომ ცხრა მთა და ერთი დიდი ოკეანე გადმოლახა, დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდს რომ შეერთებოდა. ამიტომაც ჯირკვით ჩადგმულმა და სქელკისერა ზანგმა ჯეელმა სპორტის სასახლის ფიცარნაგზე სხვებზე ნაკლები ოფლი დაღვარა და სამეორდღეო ვარჯიშისთვის ძალების აღსადგენად ისევ სასტუმროს მიაშურა.

საქართველოს ცის ქვეშ გატარებული პირველი ღამის შემდეგ კარგად გამოძინებული შემონდ და ერიკ უილიამსები ჩვეული პუნქტუალობით გამოცხადდნენ სპორტის სასახლეში, უფროსმა ძმამ მყის მოედანს მიაშურა და ბრაიკოვიჩის ნაწრთობ ბიჭებს შეუერთდა, ერიკი კი სათადარიგოთა სკამზე მოკალათდა და ალაპარაკდა.

„შემონდს იტალიაშიც ვახლდი და საქართველოს ნაკრების წევრებიც იქ გავიცანი“ — გვითხრა ერიკმა... ვინ მოგეწონა, ყველაზე მეტად ვის დაუახლოვდიო, რომ ვკითხეთ, ჯორჯსო, გვიპასუხა, კიდევ რაღაც ფრინველის სახელსაც ეძახიანო. ცინცაძეო, რომ ჩავეძიეთ, ყურიც არ შეიბერტყა, ხოლო „ბუ“ ვახსენეთ თუ არა, სულ „იეს, იესის“ ძახილი მორთო, თან ამ დროს ცინცაძეც მოგვიახლოვდა ვარჯიშიდან „გამოქცეული“ ბურთის წასაღებად. ძალიან მაგარია აი, ისო და ხელი ბოისასკენ გაიშვირა, სახელიც კარგი აქვს, ვლადიმერიო.

ამ დროს მოედანზე ბლომად ოფლი იღვრებოდა. ბრაიკოვიჩმა მოთელვა-გახურებას შედარებით ცოტა დრო დაუთმო, შეიძლება ითქვას, ვარჯიში პირდაპირ ტაქტიკური კომბინაციების დამუშავებით დაიწყო. ხორვატმა მწვრთნელმა ჯერ ცალფარა გაახურა, შემდეგ კი მთელ მოედანზე დააპირისპირა დამწყები ხუთეული სათადარიგოებს.

13 კალათბურთელი ვარჯიშობდა. მათგან სამი მუდმივად სათადარიგოთა სკამზე იჯდა, რაკი ბრაიკოვიჩი ნიადაგ სათამაშო ეპიზოდების გათამაშებას ბრძანებდა, რომელშიც, რა თქმა უნდა, 5-5 კაცი მონაწილეობდა.

მცირე ცვლილებებს კი ჰქონდა ადგილი, თუმც, შეიძლება ითქვას, მთელი ვარჯიში ერთ გუნდად იყო შეკრული ეს 5 სასტარტო მოთამაშე: შემონდ უილიამსი, მანუჩარ მარკოიშვილი, ვლადიმერ ბოისა, ნიკოლოზ ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ფინეთთან თამაშს ეს ბიჭები დაიწყებენ. შემადგენლობაზე ჩამოვარდა სიტყვა და ბარემ ვთქვათ, რომ ნაკრები უკვე დატოვა ერთმა უიღბლომ — გიორგი ნიკოლაძემ, ვატყობ, არ ვუნდივარო და ბრაიკოვიჩის გუნდში ვარჯიშის გაგრძელებაზე უარი თქვა. ხორვატ მწვრთნელს კიდევ ერთი კანდიდატის წყენინება მოუწევს, სამატჩო განაცხადში ხომ 12 ადგილია.

...„დიდებული არენა გაქვთ — მასლაათს გვიგრძელებს ერიკ უილიამსი — ცუდია ეკრანი რომ არაა, მაგრამ ძალიან მაღალი ჭერია და შეიძლება დამონტაჟდება. აქ დიდი ტერიტორიაა აუთვისებელი. ესე რომ ამერიკაში იყოს, დარბაზის მენეჯერს შავ დღეს დააყრიან. აქ ირგვლივ სულ მაღაზიები და გასართობი აპარატებია მოსაწყობი. მხოლოდ გაყიდული ბილეთებისგან შემოსული ფულით არ უნდა დაკმაყოფილდნენ, ამ დარბაზს გაცილებით დიდი მოგების მოტანა შეუძლია.“

ერიკს ვუთხარი, რომ ეს დარბაზი სპორტულ ღონისძიებებზე იშვიათად ივსება, ხალხს გართობაზე დასახარჯი ფული ნაკლებად აქვს-მეთქი, მაგრამ სპორტის სასახლის ცარიელ-ტარიელი დერეფნების შემხედვარე მაინც გაოცებული იყო.

რა გასაკვირია და, ერიკიც კალათბურთელი აღმოჩნდა, ოღონდ თავისი ძმის გაქანების ვერა. ინგლისის მეორე დივიზიონში ვთამაშობ, მაგრამ გუნდის სახელი ვერაფრით დავიმახსოვრეო.

ერიკი რომ ამას ამბობდა, მისი ძმა შემონდი ხან ცქიტიშვილს დაუკიდებდა ბურთს ჩასატენად და ხან ფაჩულიას. ბრაიკოვიჩი ეშურებოდა, რომ ბურთი შემონდს ხშირად ჰქონოდა და თითოეული კომბინაციის მესაძირკვლე ყოფილიყო. იყო კიდეც. უილიამსი შურდულივით დაქროდა, ზამბარასავით იწელებოდა და, რაც ყველაზე მეტად თვალში საცემი იყო, საიმედოდ იდგა დაცვაში. მოკვდი ამდენი დაცვაში დგომით, ცოტა შეტევაშიც გვავარჯიშოსო, დაიჩივლა მოედნიდან წვენის დასალევად გამოსულმა გიორგი ცინცაძემ და მყისვე თანაგუნდელთაგან პასუხიც მიიღო, თუ დაცვა არ გვეყოლება, შეტევას აზრი დაეკარგებაო.

...„ბუში ომის დამქაშია, მისი ხუშტურების გამო უდანაშაულო ხალხი იღუპება — პოლიტიკასაც გადასწვდა ერიკი — მე მას ხმას არ მივცემ, მირჩევნია, ჯიმ კერი გახდეს პრეზიდენტი. ბილ კლინტონი რომ პრეზიდენტი იყო, აი, მაშინ ვცხოვრობდით უშფოთველად და დალხენილად, ახლა კი სადაც გაიხედავ, ტერორისტები ებრძვიან ხან ამერიკელებს და ხან რუსებს“ — ამის თქმაზე ცოტა გახელდა ერიკი.

ბრაიკოვიჩის „გაკვეთილები“ კი თანდათან უახლოვდებოდა დასასრულს. ერთი-ორი წარმატებით დაგვირგვინებული კომბინაციაც და მოთამაშეები სამქულიანების სროლაზე გადავიდნენ, რაც ფინიშთან მისვლას ნიშნავდა. სამიანებს ესროდა გაოფლილი შემონდიც, როცა გვერდში ამოუდექი და, მისი ძმისგან განსხვავებით, ძირითადად კალათბურთზე ვესაუბრე.

— რას იტყვით საქართველოზე?

— რაც ჩამოვედი, ჯერ სულ ბარგის თრევაში ვარ. ქუჩაში არ გავსულვარ. ისე კი, როგორც ვამჩნევ, ლამაზი ქალაქია თბილისი და განსაკუთრებით თბილია ხალხი.

— ჩვენი ნაკრების წევრები იტალიაში გაიცანით. რა აზრის ხართ მათზე?

— სანამ საქართველოს ნაკრებში თამაშს გადავწყვეტდი, ნბა-ში მოთამაშე სამივე ქართველს ვიცნობდი. მე ყველა მათგანის თანაგუნდელი ვიყავი სხვადასხვა დროს და რომ ვიცოდი, ყველას დადებითი ხასიათი აქვს, ამიტომ დავთანხმდი მათ შემოთავაზებას, მეთამაშა თქვენს ნაკრებში.

— რამდენად ძლიერი ნაკრები გვყავს და თავად რა მიზანს ისახავთ?

— საქართველოს ნაკრების ყველაზე დიდი უპირატესობა ისაა, რომ ეს ახალგაზრდული გუნდია. საბედნიეროდ, ეს ახალგაზრდები ძალიან პერსპექტიულები არიან და უდიდესი წარმატების მიღწევაც შეუძლიათ. მე მინდა, საქართველოს ნაკრების მაისურით ვითამაშო ევროპის ჩემპიონატზე და მოვიგო ოლიმპიადის საგზური.

— სან ჯორჯოს ტურნირზე რას იტყვით, იტალიასთან შანსი არ გქონდათ?

— დიდი ხნის შეუკრებავი ნაკრებისთვის იტალიურ ტურნირზე მოპოვებული ორი გამარჯვება კარგი შედეგია. თანაც, რუსებისა და შვედების მსგავსად, ნუ გაგიკვირდებათ და, იტალიელთა დამარცხებაც შეგვეძლო. ჩვენ ცოტა შეთამაშებულნი რომ ვყოფილიყავით, იმ შანსს, მესამე მეოთხედში რომ მოგვეცა, ხელიდან არ გავუშვებდით — თუ გახსოვთ, 3 ქულით მივუახლოვდით იტალიელებს, მაგრამ...

— იტალიაში ცოტა მუხლს იტკიებდით, ახლა როგორ ხართ?

— სრულ მზადყოფნაში ვარ და ფინეთთანაც მთელი დატვირთვით ვითამაშებ.

— რამდენი ქულის გაკეთებას გვპირდებით?

— რამდენიც გამარჯვებისთვის იქნება საჭირო. თუ წავაგეთ, რა ჯანდაბად მინდა 40 ქულის მოგროვება. არ მირჩევნია, 5 ქულა გავაკეთო და მოვიგოთ?! ასე რომ, ვნახოთ, რა თამაში წავა. ქულები კი არა, ზოგჯერ პასების გაკეთება უფრო საჭიროა.

ამერიკელი რომ გასახდელისკენ გაემართა, დრაჟენ ბრაიკოვიჩი გახდა შემონდის ირგვლივ მოგროვილი ჟურნალისტების სამიზნე...

„ძალიან ცოტა დრო გვაქვს ფინეთთან მატჩისთვის მოსამზადებლად, სამუშაო კი ბლომადაა. დარჩენილ დღეებს მაქსიმალურად გამოვიყენებთ დაცვითი და შეტევითი კომბინაციების დასახვეწად, ხოლო მოვასწრებთ თუ ვერა მატჩისთვის ფორმის პიკის მიღწევას, მხოლოდ ღმერთმა იცის...“

„მეტოქე საკმაოდ სერიოზულადაა მომზადებული. ფინელები უკვე ორი თვეა, შეკრებილები არიან და ყველა ამხანაგური მატჩი მოიგეს. ლოგიკას თუ მივენდობით, ფინელების წაუგებელი სერია საქართველოს ნაკრებთან უნდა დასრულდეს.“

ბოლოს პასუხისმგებლობაზე დაეკითხნენ ბრაიკოვიჩს, რაზეც ხორვატმა მწვრთნელმა უპასუხა, ეგ რა უცნაური კითხვა დამისვით, პასუხისმგებლობა რას ჰქვია, ეს სპორტია და ან წააგებ ან მოიგებ. თუ წააგებ, ჩემს ადგილს „ბასკოს“ მწვრთნელი ან პაველ გოოგე დაიკავებსო.

ნაკრების მწვრთნელმა რომ ეს სიტყვები თქვა, მისი არც ერთი შეგირდი შენობაში აღარ იმყოფებოდა — ზაზა ფაჩულიამ მთელი გუნდი გოგირდის აბანოში დაპატიჟა.

ირაკლი პერტაია



ვალერი კილაძე ნიკა ცქიტიშვილს აეღობა

US OPEN 2004 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 19 050 000 $

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ნიუ იორკიდან

ანდრე აგასი

REUTERS ნიუ იორკიდან

ენდი როდიკი

პარასკევი. 3 აგვისტო

კაცები

მეორე წრე

ენდი როდიკი (2, აშშ) — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 6:0, 6:3, 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 7:6 (9:7), 6:1, 6:2; შტეფან კუბეკი (ავსტრია) — ხუან კარლოს ფერერო (7, ესპანეთი) 7:6 (7:2), 4:6, 6:7 (6:8), 6:2, 6:3; მიხაილ იუჟნი (რუსეთი) — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 6:7 (4:7), 6:3, 7:5, 2:6, 6:4; ტომი ჰაასი (გერმანია) — სებასტიან გროჟანი (12, საფრანგეთი) 6:4, 6:4, 1:6, 6:1; ტომი როზრედო (18, ესპანეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:3, 6:3, 3:6, 6:4; იურგენ მელცერი (ავსტრია) — ვინს სპედია (23, აშშ) 6:3, 4:6, 3:6, 6:3, 6:4; იოახიმ იოჰანსონი (28, შვედეთი) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 6:4, 7:5, 7:5; გილერმო კანიასი (29, არგენტინა) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:4, 7:5, 6:1; ფელისიანო ლოპესი (30, ესპანეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 7:5, 7:5, 6:7 (5:7), 1:6, 6:2

ქალები

მესამე წრე

ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — მარია ვენტო-კაბჩი (31, ვენესუელა) 6:2, 6:0; სერენა უილიამსი (3, აშშ) — ტატიანა გოლოვინი (30, საფრანგეთი) 7:5, 6:4; ელენა დემენტიევა (6, რუსეთი) — ნატალი დეში (28, საფრანგეთი) დეშის არ უთამაშია; ჯენიფერ კაპრიატი (8, აშშ) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:0, 6:7 (4:7), 6:3; ვერა ზვონარიოვა (10, რუსეთი) — ფავიოლა სულუაგა (23, კოლუმბია) 6:4, 7:5; აი სუგიამა (12, იაპონია) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:1, 6:3; პატი შნიდერი (15, შვეიცარია) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:4, 4:6, 7:6 (8:6); ფრანჩესკა სქიავონე (16, იტალია) — ანჯელა ჰეინსი (აშშ) 6:3, 7:6 (7:3)

დარჩნენ მოხუცი და ბიჭი

ამერიკა ამერიკელებს? ვერ მიერთვათ

ასეთ რამეს, რომ აშშ-ის ღია პირველობის მესამე წრეში მხოლოდ ორი ამერიკელი კაცი გასულიყოს, ტურნირის ისტორია აქამდე არ იცნობდა. წლეულს კი ამასაც მოვესწარით — ტურნირის ორგზის (1994, 1999) ჩემპიონ ანდრე აგასისა და შარშანდელ გამარჯვებულ ენდი როდიკის გარდა ყველა იანკი ხვადი ტიტულისთვის ბრძოლას უკვე ადრეწრეებშივე გამოეთიშა.

ენდიბოი მომდევნო წრეში გასაღწევად ნიჭღონიერ ესპანელ მუჩაჩო რაფაელ ნადალს უნდა რკენოდა. მართალია, ესპანელმა ნინველამ წლეულს ფეხის მძიმე ტრავმა გადაიტანა და სეზონის დასაწყისში აკრეფილი საარაკო ფორმა ვეღარ შეინარჩუნა, მაგრამ მაინც მაინც უშელავათო ბრძოლას გამოელოდნენ.

ამ მავანთ ვერ მიერთვათ — როდიკმა კვლავაც დამორგუნველად აგლაჯუნა, ერთხელ საათში 152-მილიანი მოწოდებაც ააგრუხუნა და მესამე სეტის დასაწყისამდე მეტოქე საჩოგნეზეც არ გაიკარა. მესამის სტარტზე კი ნადალი გააქტიურდა და მისთვის ერთი გეიმის წართმევაც შეძლო, თუმცა ენდიბოის ამ ნაგვიანევი ჯანყის ჩახშობა არ გასჭირვებია — ოდნავ მოდუნებული სადავეები მყისვე მოქაჩა, წაგებული უკუიგო და მალე მეტოქეს ჩოგანიც დაახრევინა.

ამასობაში ისევ გაიბრწყინა ტურნირის 2001 წლის ჩემპიონმა ლეიტონ ჰიუიტმა, ვინაც გამოცდილ და დახვეწილ მაროკოელ ჰიშამ არაზისთან რკენისას ისე მკვიცრცხლად იბურთავა, როგორც რომ მხოლოდ მისთვის საზეო წლებში იცოდა. თავიდან სათანადოდ აგრესიული ვერ ვიყავიო, იმართლებოდა მერე პირველი სეტის გაჯანჯლების გამო, თუმცა ბოლო სეტებში ნაჩვენები თამაშისა ნაღდად არ ერცხვინებოდა.

ხუან კარლოს ფერეროს კი შტეფან კუბეკთან მარცხის შემდეგ ისე შერცხვა, რომ მთელი თავისი სეზონი დასწყევლა — მინდა, ხსოვნიდან ეს წელი ერთიანად ამოვშანთოო. კოღობიჭს არც გაემტყუნებოდა, რაკიღა წლის დასაწყისში ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალამდე მისულს მერე და მერე უამრავი ტრავმი მიეძალა და საფრანგეთის ღია პირველობაზე ტიტულის დაცვა რომ მეორე წრეშივე შეაწყვეტინეს, უიმბლდონობაზე მესამეში იძლია. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ტრავმიანობამ და უხეირო ფორმამ წლეულს ერთი ქეციანი ტიტულის მოგებაც არ დაანება.

„ეს იმაზე უფრო დამორგუნველია, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ — ამბობდა ის ნამატჩევს — ამ სეზონში ერთ ტურნირზეც არ გამოვსულვარ ისე, ასპროცენტიანად ჯანმრთელი რომ ვყოფილიყავი.“

მაინცდამაინც ჯანზე იმ დღეს ვერც ფერეროსმომდევნოდ განთქსილი დავიდ ნალბანდიანი იყო — მას ასევე ხუთსეტიან განდაგანაში რუსმა იუჟნიმ აჯობა. ხვადრიონის იმდღევანდელ სენსაციებს ზორბა წერტილი დაუსვა შარშანდელსეზონგანაცდევმა ტომი ჰაასმა, რომელმაც არც ისე მძიმე ბრძოლაში დაიმორჩილა მე-12 ნომრად განთქსილი ფრანგი სებასტიან გროჟანი.

რაც შეეხებათ ტურფებს, მათში ყველაფერი რანგისა და ლოგიკის მიხედვით გადაწყდა. ერთი ეგ იყო, სერენა უილიამსს საკმაოდ გაუჭირდა 16 წლის გაფრანგებული რუსგოგოს, ტატიანა გოლოვინის მოდრეკა. გოლოვინმა თავისი შეუპოვარი გარჯით ამქრის ბაბაჭუას 42 უნებლიე შეცდომაც ააშვებინა და — ცოდვა გაუმხელელი სჯობს — თავისი ყვითელმოკლე შორტებით ტრიბუნებზე კიდევ უფრო მეტს კაცს აუყენა თვალი.

სერენაზე მეტად ზეპურთაგან საქმე მხოლოდ 28 წლის დუნდრუცა ჯენიფერ კაპრიატის გაუხანგრძლივდა — დამაჯერებლად მოგებულ ორ სეტს შუა მან ერთი ტაიბრეიკზე დაუთმო თავისზე 11 წლით რუს ვერა დუშევინას. ნამატჩევს ჯენიფერი თამაშებისას ვიდეოგამეორებათა გამოყენების აუცილებლობაზე საუბრობდა — აქოდა, მსაჯის ერთიორ შეცდომას ყველაფრის არევ-დარევა შეუძლია და მე არ მესმის, რაღა ჯანდაბას ველოდებით, ტექნიკას ახლავე რატომ არ ვენდობითო.

REUTERS ნიუ იორკიდან

ბებერმა და მძიმე მარი პირსმა უიმბლდონის ნინველა დედოფალი მარია შარაპოვა ნიუ იორკიდან უცერემონიოდ გაისტუმრა

შაბათი. 4 აგვისტო

კაცები

მესამე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ფაბრის სანტორო (31, საფრანგეთი) 6:0, 6:4, 7:6 (9:7); ოლივიე როხუსი (ბელგია) — კარლოს მოია (3, ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:3, 6:7 (5:7), 7:5; ტიმ ჰენმანი (5, ბრიტანეთი) — მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) 4:6, 6:3, 5:7, 6:4, 6:3; ანდრე აგასი (6, აშშ) — ირჟი ნოვაკი (25, ჩეხეთი) 6:4, 6:2, 6:3; დომინიკ ჰრბატი (22, სლოვაკეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (15, ტაილანდი) 7:6 (10:8), 6:3, 6:3; ანდრე პაველი (16, რუმინეთი) — ლი ჰიუნგ-ტაიკი (სამხრეთ კორეა) 6:4, 6:2, 1:6, 1:6, 6:4; ნიკოლას კიფერი (19, გერმანია) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:4, 6:0, 6:1; სარგის სარგსიანი (სომხეთი) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 4:6, 4:6, 6:4, 6:2, 7:6 (7:4)

ქალები

მესამე წრე

ჟუსტინ ენენ-არდენი (1, ბელგია) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 6:4, 6:3; ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) — ელენა ბოვინა (26, რუსეთი) 7:6 (9:7), 6:2; მარი პირსი (27, საფრანგეთი) — მარია შარაპოვა (7, რუსეთი) 4:6, 6:2, 6:3; სვეტლანა კუზნეცოვა (9, რუსეთი) — ემი ფრეზერი (21, აშშ) 7:6 (7:3), 7:5; ვინუს უილიამსი (11, აშშ) — ჩანდა რუბინი (20, აშშ) 7:6 (7:4), 6:3; შინობუ ასაგოე (იაპონია) — პაოლა სუარესი (13, არგენტინა) 6:4, 6:4; ნადია პეტროვა (14, რუსეთი) — სილვია ფარინა ელია (19, იტალია) 4:6, 7:6 (8:6), 7:6 (7:3); ელენი დანილიდუ (29, საბერძნეთი) — ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) 6:4, 6:2

წინა წრეში გამოუცდელ მარკოს ბაღდატისთან შესამჩნევი გარჯით მოგებული მატჩის შემდეგ თავისი ჩოგნაობით კმაყოფილი არც თავად როჯერ ფედერერი დარჩენილა და არცთუ ერთგული ქომაგები დაუტოვებია. ამიტომაც იყო, გამოცდილ ფრანგ ფაბრის სანტოროს იმ დღეს თავიდანვე გაშმაგებით რომ ეტაკა. მართალია, სეტიდან სეტამდე მისი აგრესია იკლებდა და ჩამხვევ-ჩამხუჭუჭებელი ფრანგიც სულ უფრო მეტად ახერხებდა, თამაში შეეთანაბრებინა, მაგრამ მატჩის საბოლოო შედეგში დაეჭვების მიზეზი მილეთს არც ერთხელ არ მისცემია...

„დღეს თავს შესანიშნავად ვგრძნობდი — ამბობდა მერე ფედერერი — ხელწაღმებიც კარგად მიმდიოდა და მოწოდებაც მოწოდების სიმაღლეზე მქონდა.“

შეგახსენებთ, რომ მეოთხე წრის მიღმა შვეიცარიელს არასოდეს გაუღწევია. თუკი ამის გაკეთებას ამ ჯერზე მაინც მოახერხებს, მეოთხედფინალში ალბათ 34 წლის ანდრე აგასის გადაეყრება. მასთან კი როჯერს ძველი ანგარიშები აქვს — დღემდე მწარედ ახსოვს სამი წლის წინ მისგან იქ ნაგემი მარცხი.

კარგი იქნება, რევანშის საშუალება თუ მომეცემაო, სურვილობდა ის სანტოროს ძლევის შემდეგ.

დიად არმენოამერიკელს კი ამასობაში არაფერი ეტყობა, ვინმესთან დაპირისპირების პერსპექტივა რომ აკრთობდეს. მან იმ დღეს 92 წუთში გადაუარა მრავალნაცად ჩეხ ირჟი ნოვაკს და უკვე მეთოთხმეტედ უწია ფლეშინგმედოუზობის მეოთხე წრეს.

ნოვაკისნაირი მეჩოგნის სეტისწაუგებლად ძლევა კარგი დოპინგიაო, ამბობდა ის ნამატჩევს და მერე ასე დასძენდა — ეტყობა, დღეს ძალიან დიდი რაოდენობით ხორცს და კარტოფილს მივახვევო.

აი, კარლოს მოიას კი ალბათ ჩოგანი აირს არ გაუხსნიდა, რაკიღა ხუთსეტიანი დავლურის შედეგად დასტურ მოულოდნელად დათმო ბელგიელ ოლივიე როხუსთან. როხუსს ხომ წლევანდლამდე აშშის ღია პირველობაზე ერთი საერთეულო მატჩიც არ მოეგო და თითქოს უკვე მესამე წრეში მოხვედრაც დიდ წარმატებად უნდა მიეჩნია. მაგრამ, თურმე სადა ჩოგნაობ! ჩოგნაობა მადაში მოდის და მოიას მისახვევ ოჯახურსაც ნამატჩევს ციდა როხუსი მიახვევდა — ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო შეხვედრა იყო და არასოდეს დავივიწყებო — რომ იძახდა.

სხვაფრივ — სანამ მდედრიონს მივაკითხავდეთ, ორიოდ სიტყვით უნდა შევეხმიანოთ სომეხ სარგის სარგსიანის მარათონულ გარჯას. ამ შავტუხა კაცმა წინა წრეში „ოლიმპიურ“ ჩემპიონ ნიკოლას მასუს ხუთსაათიან ომში რომ სძლია, მესამეში კიდევ ოთხი საათი და 41 წუთი დაჰყო კორტზე და ფრანგ პოლ-ანრი მათიოს გაუსწორდა. ყოველივე ამის საჩუქრად კი ის ერგო, რომ მეოთხე წრეში ისტორიულ თვისტომსა და ოდინდელ მესპარინგე ანდრე აგასის შეხვდება.

ახლა კი ქალებზეც:

წინა წრეში ანასტასია მისკინას მაოტარმა ანა ჩაკვეტაძემ საელენიდეანილიდუო ილაჯი ვეღარ მოიძია და ტურნირს გამოეთიშა. თუმცა ანას მარცხზე უფრო ხმაურიანი, ცხადია, მისკბილა და მისქვეყნელა მაშა შარაპოვას მარცხი გამოდგა. უიმბლდონის 17-წლოვანი დედოფალი ჩაუქ ფორმაში რომ ვერ იყო, ამაში ჩვენ წინა წრეებშიც დავრწმუნდით, მაგრამ მას თუ ლამის დედისტოლა 29 წლის მარი პირსი მოათვინიერებდა, ეგ კი ცოტას წარმოედგინა.

ოდნავ უკეთ ითამაშა ამქრის პირველოსანმა ჟუსტინ ენენ-არდენმა, ვინაც ლიზა რეიმონდს რომ მოუგო, მერე ასე თქვა: დღეს მენტალურად უფრო მყარად ვიყავი, ვიდრე წინა დღეებშიო.

მძიმე მატჩები გადაიტანეს და ახლა ერთმანეთს შეეხლებიან ლინდსი დევენპორტი და ვინუს უილიამსი. ლინდსისთვის ეს ზედიზედ მეოცე მოგება გახლდათ, იქნება თუ მისი ზედიზედ ოცდამეერთე მსხვერპლი ვინუსი, ამას უახლოეს საათებში ვნახავთ. თუ ვერ ვნახავთ და, მშვიდად ბრძანდებოდეთ, უეჭველად გავიგებთ მაინც.

ლევან ძელაურაძე

ურაგბო მეურნეობა

გუშინ და გუშინწინ საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის პირველი ტური გაიმართა, თუმცა როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ტურით გათვალისწინებული სამი მატჩიდან ერთი გადაიდო.

გუშინწინ ბათუმში „დათვებმა" თბილისის „აკადემიას" უმასპინძლეს და 11:15 დამარცხდნენ. „ყოჩებმა" კი ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე „ლელო" დაამარცხეს 23:20.

ვარკეთილშივე ჩემპიონ „ლოკომოტივს" გუშინ ქუთაისის „აია" უნდა შერკინებოდა, მაგრამ ქუთაისელები უსახსრობის გამო ვერ ჩამოვიდნენ. არადა, თამაშამდე საათნახევრით ადრე რაგბის კავშირის წარმომადგენელმა გვაუწყა, თამაში დათქმულ დროს ჩატარდებაო.

ვარკეთილში რეპორტაჟის გასაკეთებლად მისულს კი, ოდენ ძროხებმა შემომანათეს სევდიანი თვალები, შემდეგ კი ბალახის ძოვა განაგრძეს (ამ ბალახს ჩვენში ზოგჯერ მოედნის საფარსაც უწოდებენ). იქვე, ჩათვლის მოედანში კი ამაყად მიუძღვებოდა კრუხი ათიოდე წიწილას და ხანდახან მიწასაც დაჰკრავდა ნისკარტს სარჩოს გამონახვის იმედით.

მეტი იქ სულიერი არავინ გვინახავს. როგორც შემდეგ გაირკვა, ქუთაისელებს წამოსასვლელი ფული არ ჰქონიათ და ჩემპიონატში მათი მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი ჯერაც გაურკვეველია.

ლადო ფულუკიძე

ჭაბუკები დაგვეზარდნენ

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა თუ სეზონი ოლიმპიადით დაასრულა, ახალგაზრდა ძიუდოისტებს არდადეგებზე წასვლამდე ევროპის ჩემპიონატი ელით. ბორის ფიცხელანის შვიდეული უკვე ბულგარეთშია და 9-12 სექტემბერს გასამართი ტურნირისთვის სოფიაში ემზადება.

შარშანდელი შემადგენლობა, რომელსაც სათავეში ჯემალ ნათელაშვილი ედგა, ნაწილობრივ გადახალისდა. ახალი სახეები ჭაბუკთა ნაკრების ყოფილი წევრები არიან. გუნდის ყველაზე გამოცდილი წევრი კი მძიმეწონოსანი ლაშა გუჯეჯიანია, რომელმაც ასაკის მიუხედავად უკვე ძირითად ნაკრებში დამკვიდრებაც მოასწრო. ცნობისთვის, გუჯეჯიანი ახალგაზრდებში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

60 კგ ---------- დავით ასუმბანი
66 კგ ------ ზაზა კედელაშვილი
73 კგ - გიორგი ბაინდურაშვილი
81 კგ - გრიგოლ შინჯიკაშვილი
90 კგ ---- ლომერ ჟორჟოლიანი
100 კგ ---------- ლევან რაზმაძე
მძიმე --------- ლაშა გუჯეჯიანი

მსოფლიოს თასი 2004

ამერიკა ნუ გგონივართ

კანადამ რუსულად კითხვა ისწავლა

ევროპული ჯგუფი

3 სექტემბერი

ჩეხეთი 7:2 გერმანია

0:0 5:0 2:2

1:0 ჟიდლიცკი (23), 2:0 შლეგრი (25), 3:0 იაგრი (26), 4:0 ჰეიდუკი (31), 5:0 ელიაში (36), 5:1 ბოოსი (44), 6:1 ჰავლატი (51), 6:2 ჰეხტი (58), 7:2 როსპალი (59)

4 სექტემბერი

ფინეთი 4:4 შვედეთი

3:3 1:0 0:1 0:0

1:0 პელტონენი (2), 2:0 ვაძნანენი (5), 2:1 მოდინი (13), 3:1 კოივუ (13), 3:2 ლიდსტრიომი (18), 3:3 მოდინი (20), 4:3 იოკინენი (21), 4:4 ჰოლმსტრიომი (60)

ამერიკული ჯგუფი

აშშ 3:1 სლოვაკეთი

2:1 0:0 1:0

1:0 სმოლინსკი (4), 1:1 ნადი (12), 2:1 ბლეიკი (14), 3:1 მერინი (57)

კანადა 3:1 რუსეთი

0:0 2:0 1:1

1:0 რიჩარდსი (24), 2:0 დრეიპერი (26), 3:0 საკიკი (46), 3:1 გონჩარი (53)

ამ მსოფლიოს თასზე კანადის შემჩერებელი არავინ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. შაბათს ეს ვერც რუსებმა შეძლეს, რომელთა აშშ-სთან ფანტასტიკურმა თამაშმა ყველა გააოცა. როგორც ჩანს, კანადელებმა ზედმიწევნით კარგად შეისწავლეს ამ მატჩის ვიდეოჩანაწერი და სათამაშო გეგმაც სწორად შეარჩიეს — წინა მატჩებისგან განსხვავებით, უმალვე არ მოიწადინეს მეტოქის დაჩაგვრა და ფხიზელი თამაში არჩიეს, რათა რუსების სწრაფი შეტევები მაქსიმალურად აეცილებინათ თავიდან. თუმც კანადელები ასეთ ვითარებაშიც კი აქტიურობდნენ და საბოლოოდ მათმა პრესინგმა მაინც უბიძგა რუსებს შეცდომებისკენ. ჯერ რიცხვმრავლობაში სერგეი გონჩარმა დაკარგა შაიბა მეტოქის ზონაში და ბრედ რიჩარდსმა მეკარესთან პირისპირ გასვლა უძლიერეს დარტყმით დაასრულა. ორ წუთში კი არანაკლებ სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა კრის დრეიპერმა და მიზანსაც უწია. ამის შემდეგ რუსები უფრო გააქტიურდნენ, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ როცა პაველ დაციუკმა მორიგი შანსი გააცუდა, რაღაც წამებში კანადელებმა იგი მესამე გოლით დასაჯეს — მარიო ლემიეს ფლანგზე გარღვევის შემდეგ ჯო საკიკმა ივარგა.

სამველ ღარიბიანი

ოქროს ლიგა. V ეტაპი. ბრიუსელი 3 სექტემბერი

ელენა ისინბაევამ წლეულს მერვედ გააუმჯობესა რეკორდი ჭოკით ხტომაში

REUTERS ბრიუსელიდან

რეკორდები დაკვეთით და გარანტიით

ელენა ისინბაევამ ფულის ბეჭდვა ისწავლა

ამ პარასკევს ბრიუსელის როი ბალდუინის სახელობის 47 ათასიანმა და პირთამდე სავსე სტადიონმა „ოქროს ლიგის" მეხუთე და ბოლოსწინა ეტაპს უმასპინძლა. ბელგიურ პუბლიკას ტყუილად არ გადაუყრია ბილეთებში ფული, საინტერესო ბევრი მოხდა — დამყარდა ორი მსოფლიო რეკორდი. მილიონის ღირებული ოქროსთვის შემართული ოთხი სპორტსმენიდან კი ორმა დაკარგა ძვირფასი ლითონის კბილით და ჯიბით მოსინჯვის იმედი.

რეკორდებით დავიწყოთ: რუსმა ელენა ისინბაევამ ჭოკით ფრენა ასე თუ გაგრძელა, მალე ხუთმეტრიან თამასას დასძლევს და იქნებ კაცებთან გაჯიბრებაც გაბედოს. წლეულს ის ლამის ყოველ ტურინირზე აცხობს რეკორდებს და სადღაც უსაშველოდ ქვევით მოუტოვებია ასევე რუსი ქალი-რეკორდი სვეტლანა ფეოფანოვა და ყოფილი მერეკორდე, ამერიკელი სტეისი დრაგილა. სულ ახლახან ზარ-ზეიმით ჩამთავრებულ ათენის ოლიმპიადაზე ისინბაევამ, რა თქმა უნდა, ყველას ავჯობა, 4 მეტრსა და 91 სანტიმეტრს გადაევლო და ოლიმპიური ჭოკით ხტომა მსოფლიო რეკორდით მოიგო. თანაც ათენში მან წლეულს მეშვიდედ გაუმჯობესა რეკორდი. ბრიუსელში კი მან დაბალი სიმაღლეების დაძლევის შემდეგ თამასა 4,92 სანტიმეტრზე შემოადებინა და ისე მარჯვედ გადაევლო, ეჭვი არაა, მალევე მოხსნის ამ მიღწევას. ასე თითო-ოროლა სანტიმეტრით უმატებს და ჭკვიანურადაც იქცევა, მის სახელს წონა ემატება, ანგარიშს კი მრგვალ-მრგვალი თანხები. გეხსომებათ, სერგეი ბუბკაც ასე „მილიმეტრებით" იპყრობდა ახალ სიმაღლეებს.

მეორე რეკორდის ავტორი ყატარის პასპორტით მორბენალი კენიელი საიფ საადე შაჰინია (კენიაში სტივენ ჩერონო ერქვა). ამ 21 წლის ჯელემა — ცხოვრების პროფესიად 3 000 წინაღობებიან მეტრზე სირბილი რომ აურჩევია — შარშან პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატზე იპირველა და მას მერე ამ სახეობაში მთავარ ფავორიტად აღირიცხა, მაგრამ მიზეზთა გამო ათენის ოლიმპიადა გაუცდა და ახლა დიდ გულზე იყო, აუცილებლად უნდა მოვიგო. მოიგო და თან ახალი რეკორდიც გამოაცხო — 3 000 წინაღობებიანი მეტრი 7 წუთსა და 53,64 წამში გაირბინა, რითაც ძველ რეკორდს 1,65 წამი მოაჭრა.

რაც შეეხება ოქროს ციებ-ცხელებას, ბრიუსელის შემდეგ გაირკვა, რომ მილიონის ოქროს ზოდებს არა ოთხი, არამედ ორი მძლეოსანი გაინაწილებსა, თუ, რა თქმა უნდა, ამ ორმა შემორჩენილმა — სამმხტომელმა კრისტიან ოლსონმა და 400 მეტრზე მორბენალმა ტონიკ უილიამს-დარლინგმა ბერლინში გასამართ დასკვნით ეტაპზეც იმარჯვეს.

ოქრო კი გამოიტირეს სამხრეთაფრიკელმა სიმაღლეზე მხტომმა ქალმა ჰესტრი ხლოეტმა და კალიასავით ხტუნია-მორბენალმა (400 თარჯებიანი მეტრი) დომინიკელმა ფელიქს სანჩესმა. ხლოეტმა ორი მეტრიც ვერ დაძლია და მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო თავისი დისციპლინის ჯადოქარმა სანჩესმა ტრავმის გამო საერთოდ ვერ შეძლო სარბენ ბილიკზე გასვლა.

კოტე ყორშია



საიფ საადე შაჰინი ოლიმპიადაზე ვერ წავიდა, სამაგიეროდ ხელში მსოფლიო რეკორდი შერჩა

REUTERS ბრიუსელიდან

ვუელტა 2004 4 - 26 სექტემბერი

ველოს ვუელტა ამთავრებს

გუშინწინ წლის მესამე და უკანასკნელი დიდი ველოტური, ესპანური „ვუელტა“ დაიწყო. ესპანური ველომარათონი, რა თქმა უნდა, ახლოსაც ვერ მივა უპრესტიჟულეს „ტურ დე ფრანსთან“, მაგრამ იტალიური „ჯიროს“ კი ნამდვილად აღარ ჩამოუვარდება, მით უმეტეს, ამ ბოლო წლებში. ესპანელები, იტალიელთა მსგავსად, შესაძლოა, ვერ ახერხებენ სამკვირიანი ტურის ფრანგების დონეზე ორგანიზებას — ამისთვის არც ეკონომიკა და არც ველოსპორტის ტრადიციები უწყობთ ხელს — მაგრამ მათ ფრანგებზე არანაკლებ უყვართ ველოსპორტი და დღესდღეობით მათზე ძლიერი მრბოლებიც მოქმევებათ.

„ვუელტას“ გამოკვეთილი ფავორიტები არა ჰყავს, რაკი ტურ დე ფრანსის ექვსგზის ჩემპიონი ლენს არმსტრონგი ესპანეთში არ ჩასულა, ისევე როგორც მისი მარადიული, მაგრამ მასთან ბრძოლაში უძლური მეტოქე იან ულრიხი. მაგრამ ესპანელებს ჰყავთ ათზე მეტი ველოვარსკვლავი, რომელთაგან ნებისმიერს შეუძლია „ვუელტას“ მოგება. ასევე ფავორიტებში მოიხსენიებიან რამდენიმე იტალიელი (კუნეგო, სიმონი, გარძელი...), ათენის ოლიმპიადის ამერიკელი ჩემპიონი ტაილერ ჰამილტონი და ყაზახი ალექსანდრ ვინოკუროვი.



REUTERS ბურგოსიდან

გუშინ ლეონიდან ბურგოსამდე გაჭიმული 207-კილომეტრიანი მეორე ეტაპი იტალიელმა სპრინტერმა ალესანდრო პეტაკიმ მოიგო

რაც შეეხება მარშრუტს, წლეულს „ვუელტას“ ქარავანი რატომღაც არ გაივლის პირინეის მთებში — ამ გაქანებული ტერორიზმის ეპოქაში ესპანელები ბასკებს თუ უფრთხიან — და არც ასევე მათმოძულე კატალონიაში. მაგრამ მარშრუტი მაინც რთულია: 21 ეტაპიდან სამი ინდივიდუალური რბოლაა, ერთი გუნდური, ექვსი ეტაპი უშველებელი აღმართით მთავრდება და გადასალახია ოთხი განსაკუთრებით რთული უღელტეხილი.

4 სექტემბერს „ვუელტა“ ისტორიულ ქალაქ ლეონიდან დაიძრა. პირველ ეტაპებზე პელოტონი ცენტრალური იბერიის ფერდობებზე და მდინარე ებროს ხეობაში მიგორავს. გაივლის სარაგოსას, ვალენსიას და რამდენიმე იოლი ეტაპის შემდეგ სამხრეთ ესპანეთის მთების ფერდობებს ქოშინით შეუყვება. პელოტონს პირველი დიდი, 1500-მეტრიანი მთა დახვდება ალიკანტეს მახლობლად — „ალტო დე აიტანა“, შემდეგ გადასალახია კიდევ უფრო მაღალი სიერა ნევადას და სიერა მორენას გრეხილები, უკვე მადრიდთან მისულ გასავათებულ მრბოლელებს კი ბოლო კალორიებს წაართმევს ცენტრალური კორდილიერა. 21-ეტაპიანი „ვუელტა“ კი დედაქალაქ მადრიდში დასრულდება მორიგი, ანუ მესამე ინდივიდუალური რბოლით.

კოტე ყორღია

WRC

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
XI ეტაპი იაპონია

იაპონიის ნორვეგიელი გმირი

იაპონური წარმოების მანქანებს რალიში უზარმაზარი მიღწევები აქვთ. „ტოიოტაზე“, „მიცუბისიზე“ და „სუბარუზე“ ამხედრებულმა ეკიპაჟებმა ბოლო 15 წელიწადში 11-ჯერ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონობა.

ამდენად, გასაკვირია, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში სარალო ეტაპები აქამდე მხოლოდ ეროვნულ დონეზე ეწყობოდა და მსოფლიო კალენდარში პირველად წლეულს ჩართეს. სარბოლოდ კუნძულ ჰოკაიდოზე მთის მიწა-ღორღიანი გზები შეარჩიეს. ეკიპაჟებს სამ დღეში 1707 კილომეტრი უნდა გაევლოთ, აქედან 386 ჩქაროსნულ მონაკვეთებზე მოდიოდა.

REUTERS ობიჰირიდან

პეტერ სოლბერგი იაპონიის პირველი ტრიუმფატორია

მასპინძელთა გასახარად, პირველი იაპონური რალი მათი „სუბარუს“ ბენეფისი გახდა. ნორვეგიელმა მძღოლმა პეტერ სოლბერგმა და ინგლისელმა შტურმანმა ფილიპ მილსმა უშეცდომოდ იჯირითეს და ვეება უპირატესობით აჯობეს მეტოქეებს. არცთუ ხშირად ხდება, რომ თავიდანვე დაწინაურებულ დუეტს ფინიშამდე ერთხელაც არ დაეთმოს ლიდერობა. ეს, ცხადია, ეკიპაჟის უმაღლეს პილოტაჟთან ერთად მანქანის უნაკლო მუშაობის შედეგიცაა. მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონებმა პირველივე ჩასათვლელ უბანზე ათი წამით ჩამოიტოვეს წლევანდელი სეზონის ლიდერების, სებასტიენ ლოების და დანიელ ელენას „სიტროენი“, მეორეზე კი სხვაობა გააორმაგეს და ბოლომდე ახლოსაც აღარავინ გაიკარეს.

ლოების ამხელა, წუთზე მეტი ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ ერთ-ერთ მოსახვევში მანქანა გზიდან გადაუსრიალდა და ოციოდე წამი დაკარგა, თანაც, როგორც თავად აღიარა, საბურავების შერჩევაშიც შემცდარა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მარკუს გრონჰოლმი კარგა ხანს მეორე ადგილისთვის ებრძოდა ლოებს, მაგრამ სიჩქარეთა კოლოფმა უღალატა და ერთადერთი, მესამე სიჩქარით ძლივს მიაღწია საკონტროლო პუნქტამდე, რამაც მეხუთე პოზიციამდე ჩამოაქვეითა. ფინელის „პეჟო“ შეკეთების შემდეგ ჯანზე კი მოვიდა და რბოლის მიწურულს ორი ჩქაროსნული მონაკვეთის მოგებაც შეძლო, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ერთი ადგილით გაიუმჯობესა ვითარება.

REUTERS ობიჰირიდან

პეტერ სოლბერგის იაპონურმა „სუბარუმ“ პირველი იაპონური ეტაპი მოიგო

29 წლის სოლბერგმა კარიერაში მერვე რბოლა მოიგო და სატურნირო ცხრილში ორი საფეხურით აინაცვლა, თუმც ტიტულის შენარჩუნების მხოლოდ თეორიული შანსი აქვს. წარმოუდგენელია, დარჩენილ ხუთ ეტაპზე ლოებმა 30-ქულიანი უპირატესობა გაფლანგოს.

მომდევნო ეტაპი 17-19 სექტემბერს დიდ ბრიტანეთში გაიმართება.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

1	პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ)	3სთ; 43.50,6
2	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	ჩამორჩა 1.13,3
3	მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი)	1.43,3
4	მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო)	2.17,9
5	კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი)	2.31,0
6	ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო)	7.26,2
7	მიკო ჰირვონენი (ფინეთი, სუბარუ)	9.06,5
8	ანტონი ვარმბოლდი (გერმანია, ფორდი)	18.14,7

საერთო ჩათვლა

1 სებასტიენ ლოები 84 ქულა; 2 პეტერ სოლბერგი 54; 3 მარკო მარტინი 53; 4 კარლოს საინსი 50; 5 მარკუს გრონჰოლმი 47; 6 ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) 39; 7 მიკო ჰირვონენი 21; 8 ჰარი როვანპერა 17; 9 იანე ტუოინო (ფინეთი, ფორდი) 16; 10 ფრედი ლოა (ბელგია, პეჟო) 7

კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 137 ქულა, ფორდი 102, სუბარუ 79, პეჟო 73, მიცუბისი 17

REUTERS ტირანიდან

სანახაობა ტირანაში

კარგად დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ალბანეთის საფეხბურთო ნაკრებმა, რომელმაც ტირანაში 2:1 მოუგო ევროპის ჩემპიონ ბერძნებს. ალბანელებმა ნამდვილ სანახაობად აქციეს მატჩის წინარე საათებიც: სტადიონზე მის ალბანეთი ეწყალეიდა ბარიო და მის ელადა კატერინა გეორგოვილაც კი დაენახენ ხალხს.

ათენი სამუდამოდ

აი, სვირინგი: ათენში ოლიმპიურ ჩემპიონად შექნილმა უნგრელმა წყალბურთელმა ატილა ვარიმ გადაწყვიტა, რომ ათენის კვალი სამუდამოდ აღიბეჭდოს მხარზე.



REUTERS ბუდაპეშტიდან

REUTERS ოტავიდან

კანადურად

ამერიკული ბურთაობა კანადაშიც ამოდ საცქერია — მონრეალელმა ოტრი დენსონმა მაინც ივარგა და გადააფრინდა ოტაველ ბოროჯერსს. გადაფრენა ამ თამაშის ერთ-ერთი განთქმული ფინტია.

შინაური დომინო

მაჰიონგი ჩინური თამაშია. თითქოს დომინოსაც ჰგავს, ოღონდ აზიურად ჩახლართულია. სწორედ ამ დღეებში მაჰიონგელთა დიდი შეჯიბრი მიმდინარეობს შიანში: ათასზე მეტი მოთამაშე ჩემპიონობას ლამობს.

REUTERS შიანიდან

ფეხბურთი

ესპანეთი

II დივიზიონი. II ტური

კადისი 0:2 ლეიდა

კორდობა 0:0 პონტევედრა

ფერროლი 0:1 ალმერია

მალაგა B 0:0 ეიბარი

მურსია 1:3 სპორტინგი

პოლი ეხიდო 0:0 ტერასა

უელვა 0:0 ალავესი

სალამანკა 1:1 ხერესი

საფრანგეთი

II დივიზიონი. VI ტური

ამიენი 2:2 შატორუ

იტალია

თასის I ეტაპი

პესკარა 3:3 რიმინი

კროტონე 4:0 ბარი

პორტუგალია

სუპერლიგა. II ტური

გიმარაეში 2:1 აკადემიკა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

სამხრეთ ამერიკა

ურუგვაი 1:0 ეკვადორი

ბრაზილია 3:1 ბოლივია

კონკაკაფი. II ჯგუფი

გვატემალა 2:1 კოსტა რიკა

აფრიკა. I ჯგუფი

ტოგო 1:0 კონგო

მალი 2:2 სენეგალი

II ჯგუფი

კდრ 1:0 ს. აფრიკა

განა 2:0 კაბო ვერდე

III ჯგუფი

კოტ დივუარი 5:0 სუდანი

ეგვიპტე 3:2 კამერუნი

IV ჯგუფი

ზიმბაბვე 0:3 ნიგერია

ანგოლა 1:0 რუანდა

ალჟირი 0:3 გაბონი

V ჯგუფი

გვინეა 4:0 ბოტსვანა

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ჭინჭლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge